## დანართი 1

## თავად მხეიძეთა საოჯახო ნუსხები

На подлинномъ собственною ЕГО ИМПЕРАТОРСКОГО ВЕЛИЧЕСТВА рукою написано: "Утверждаю". С.Петербургъ 6-го Декабря 1850 года.*

# ПОСЕМЕЙНЫЙ СПИСОКЪ
**лицамъ, принадлежащимъ къ княжескимъ и дворянскимъ родамъ**

## ИМЕРЕТИИ
## МХЕЙДЗЕ
**княжеский род**

55. КАНЦЕЛЯРИСТ ГЕОРГИЙ ПИРАНОВЪ.
жена его Маоя.

1268. МЕТОДЪ ГОГІЕВЪ.
жена его Елисавета.
сыновья ихъ: Василой.
Тароелъ.
Отоя.
Виссароонъ.
Григорой.

1269. ХОСІЯ НИКОЛАЕВЪ.
жена его Нна.
сыновья ихъ: Петръ.
Николай.
Иванъ.
жена Петр Турфа:
дочери его: Ека
Кесароя.
жена Николая Тасоя

1270. РОСТОМЪ ГЕОРГІЕВЪ.
жена его Сусана.

сыновья ихъ: Маркозъ.
Георгой.
Симонъ.
Иосифъ.
дочь Маоя.

1271. ДАВИДЪ ГЕОРГІЕВЪ.
жена его Варвара.

сынъ ихъ: Иванъ.
дочери: Гулкана.
Ека.

1272. БЕКО ГЕОРГІЕВЪ.
жена его Сидоноя.
сыновья ихъ: Лука.
Константинъ.
Давидъ.
дочь Тулпа.

1273. ПААТА ОТІЕВЪ.
жена его Дареджана.
сыновья ихъ: Микелъ.
Николай.
Отоя
дочь
Марика.
жена Микела Мака.
сынъ ихъ: Ефимой.

1274. ЗААЛЪ КАЙХОСРОВЪ.
жена его Русудана.
сынъ ихъ: Игнатой.

дочь Марика.

1275. ИВАНЪ ХОСІЕВЪ.
жена его Елисавета.
сынъ ихъ: Георгой.
жена его Мариама.
дочь ихъ: Елисавета.

1276. БЕРИ ЛЕВАНОВЪ.

1277. ИВАНЪ ДАВИДОВЪ.
жена его Анна.
сынъ ихъ: Давидъ.
дочь ихъ: Лирса.
сестра Ивана Мароама.
мать Ивана Марика.

1278. **ГЕОРГІЙ ХОСІЕВЪ.**

жена его Марта.
сыновья ихъ: Симонъ.
Сакварелъ.
Хосоя.
Константинъ.
жена Симона Марфа.
жена Сакварела Тулпа.
дочери ихъ: Елисавета
Агата.
дочь Георгоя: Ека.

1279. **ТАРІЕЛЪ ВАХУШТІЕВЪ.**

жена его Анна.
сыновья ихъ: Давидъ.
Самсонъ.
дочери: Маоя.
Елисавета.
Хатуноя.
Литуна.
братья Тариела: Бери.
Придонъ.
Иванъ.
жена Бери Маоя.
сыновья ихъ: Сачино.
Сико.
Ираклой.
дочери: Хатуна.
Лало.
жена Придона Русудана.
сыновья ихъ: Глахуа.
Владиморъ.
дочь ихъ: Сарихумана.

1280. **ОКРОПИРЪ ХОСІЕВЪ.**

жена его Сурата.
сыновья ихъ: Асланъ.
Алексей.
дочь ихъ: Мароява.

1281. **ДАВИДЪ РАМАЗОВЪ.**

жена его Салома.
сынъ ихъ: Ираклой.
. дочери: Фекла.
Анусоя.
Епемоя.

1282. **ПИРАНЪ ЗААЛОВЪ.**

сынъ его: Николай
жена его Марфа.
сыновья ихъ: Михаилъ.

Методъ.
дочери ихъ: Евдукоя.
Лало.

1283. КАЙХОСРО БЕЖАНОВЪ.
жена его Елисавета.
сыновья ихъ: Алексей.
Давидъ.
брат Кайхосро Вахтангъ.
жена егоПепена.
сыновья ихъ: Иосифъ.
Михаилъ.

128

жена его Софоя.
дочери ихъ: Магдалина.
Цица.
брат Симона Тароелъ
жена его Мзисандара.
сынъ ихъ: Григорой.
дочь ихъ: Лало.
мать Симона Софоя.

1285. НИКОЛАЙ КАЙХОСРОВЪ.
жена его Тута.

1286. ГЕОРГIЙ ДАВИДОВЪ.
жена его Тинатина.

1287. ПИРАНЪ СИМОНОВЪ.
жена его Мзехатуна.
дочь ихъ: Потина.
брат Пирана Алмасханъ.
жена его Тулпа.
Мелитонъ.

1288. ПИРАНЪ ШОШИТОВЪ.
жена его Марояма.
сыновья ихъ: Константинъ
Николай
дочь ихъ Мзеха.

1289. ХОСIЯ ШОШИТОВЪ.
жена его Нетора.
сынъ ихъ Мерабъ.
жена его Ека.
Тасоя.
дочь Хосои Маоя.

1290. СВЯЩЕННИКЪ ВИССАРИОН ГЕОРГIЕВЪ.
жена его Елена
дочери ихъ: Софоя.
Салома.
Ефросиноя.

56. ПОРУЧИКЪ ИВАНЪ САВЕЛІЕВЪ.
жена его Агафоя.
братъ Ивана Штабсъ-капитанъ Егоръ
жена его Варвара.
дочери ихъ: Надежда.
Елисавета.

57. ПРАПОРЩИКЪ ПАВЕЛЪ КАЙХОСРОВЪ.

58. РОМАНЪ РОСАПОВЪ.
жена его Папаси.
сынъ их: Александръ.

59. ПРАПОРЩИКЪ ГЕОРГІЙ ЛЕВАНОВЪ.
жена его Кесароя.
сыновья ихъ: Глахуа.
Бегларъ.
жена Глахуа, Мака.
сыновья ихъ: Давидъ.
Микелъ.
дочь ихъ: Бамапара.
жена Беглара, Маоя.

60. КОХТА ДАВИДОВЪ.
жена его Елена.
сыновья ихъ: Сико.
Несторъ.
Мелхиседекъ.
дочери: Марта.
Имбрухти.
Марояма.
Елена.
Цицина.

61. АЛМАСХАНЪ ДАВИДОВЪ.
сыновья его: Парнаозъ.
Виссарионъ.
Александръ.
дочь Кекела.

62. ВДОВА КАЙХОСРО, ЕЛЕНА.
сыновья ея: Прапорщикъ Бакаръ.
Вахуштой.
Шакаръ.
Георгой.
Заалъ.
жена Бакара Елисавета.
сыновья ихъ: Капралъ.

Варнава.
дочери: Севастоана.
Маоя.
Агафоя.

63. ШАКАРЪ ШАКАРОВЪ.

64. ДАВИДЪ БЕЖАНОВЪ.
братья его: Константинъ.
Хуту.
Баана.
дочери: Софоя.
Анна.
жена Георгоя Маоя.
сыновья ихъ: Григорой.
Алмасханъ.
брат Левана Давидъ.
жена его Гулкана.
сынъ ихъ Вахтангъ.
жена его Елисавета.

65. КОХТА ТЕЙМУРАЗОВЪ.
жена его Гулкана.
сыновь ихъ: Миларди.
дочь Потина.
братья Кохты: Хахулъ.
Алексей.
сынъ Хахула Бичоя.

66. ГЕОРГІЙ БЕЖАНОВЪ.
жена его Софоя.
сыновья ихъ: Несторъ.
Давидъ.

67. ПОРУЧИКЪ КАЙХОСРО ДАВИДОВЪ.
жена его Татоя.
сынъ ихъ: Константинъ.

68. ШАКАРЪ ВАХТАНГОВЪ.
жена его Варвара.

69. ВДОВА РОСТОМА, СОФІЯ.
сынъ ея: Варденъ.
дочь Марта.
жена Вардена Мзехатуна.

70. ВДОВА КАЙХОСРО, ТАМАРА.

сыновья ея: Сико.
Кохта.
Шакаръ.
Бичоя.

71. ВДОВА ПЕПУ, ДАРЕДЖАНА.

сыновья ея: Иванъ.
Ревазъ.
жена Реваза Екатерина. Константинъ.
Давидъ.
Александръ.
дочери: Маоя.
Елисавета.

72. ТАРІЕЛЪ ДАВИДОВЪ.

жена его Кетевана.
сыновья ихъ:
Прапорщикъ Александръ.
Зурабъ.
Николай.
жена Александра Нина.
сынъ ихъ: Давидъ.
жена Зураба Анастасоя.

73. ПРАПОРЩИКЪ НИКО БЕРОВЪ.

жена его Марфа.
сыновья ихъ: Александръ.
Иванъ.
дочь Сарихумана.

74. ВДОВА ЛЕВАНА, ЕЛЕНА.

сыновья ея:
Бежанъ.
Подпоручикъ Бучуа.
жена Георгоя Анастасоя.
жена Бежана Елисавета.
сынъ ихъ: Леванъ.
дочери: Геритина.
Аспироза.
Дароя.
Анастасоя.

75. ВДОВА ИВАНА, ЕЛЕНА.

сыновья ея:
Мерабъ.
Тароелъ.
Манучаръ.
Александръ.
Михаилъ.
жена Кайхосро Мака.
жена Мераба Ирина.

76. ПРАПОРЩИКЪ ГЕОРГІЙ ВАХТАНГОВЪ.

жена его Марина.
сыновья ихъ: Ложадъ.
Давидъ.

Хуту.

дочь Мелкина.

77. ГЛАХУА ВАХТАНГОВЪ.

жена его Мзеха.

78. КАПИТАНЪ МИХАИЛЪ ДАВИДОВЪ.

жена его Ивлита.

сынъ ихъ: Платонъ.

дочь Варвара.

братья Михаила: Ростомъ.

Иванъ.

жена Ростома Елисавета.

сыновья ихъ: Димитрой.

Платонъ.

дочь Марина.

79. ПРАПОРЩИКЪ АНТОНЪ ДАВИДОВЪ.

жена его Ирина.

сынъ ихъ: Константинъ.

дочери: Мзеха.

Осана.

Лиса.

Елисавета.

80. РОСТОМЪ ГРИГОРЬЕВЪ.

сыновья его: Прапорщикъ Иванъ

Георгой.

жена Ивана Елена.

сыновья ихъ: Ростомъ.

Адмиралъ.

Митрофанъ.

дочь Деспина.

жена Георгоя Маоя.

сыновья ихъ: Константинъ.

Спиридонъ.

Николай.

81. ВАХТАНГЪ ГРИГОРЬЕВЪ.

жена его Нина.

82. ВДОВА ЗУРАБА, МАКАЛА.

сыновья ея:

Иполитъ.

Давидъ.

Ираклой.

дочь Елена.

83. ЗУРАБЪ БУЧУОВЪ.

сыновья его:

Подпоручикъ

Кохта.

Бичоя.
жена Бучуа Мзехатуна.
сыновья ихъ:
Милордъ.
жена Кохты. Марфа.
жена Бичоя Екатерина.
сыновья ихъ: Александръ.
Димитрий.
дочь Пелагоя.

84. ЗУРАБЪ БУЧУОВЪ.
сыновья его:
Иванъ.
Отоя.
Елизбаръ.
Георгой.
жена Бичоя Ирина.

сынъ ихъ: Іоакимъ.
дочери: Анна.
Февроноя.
жена Ивана Евфимоя.
сыновья ихъ: Михаилъ.
Ермине.
Давидъ.
жена Отои Нина.
братья Зураба: Подпоручикъ Давидъ.
Росапъ.
жена Давида Екатерина.
сыновья ихъ: Александръ.
Іосифъ.
Ревазъ.
Димитрой.
дочь Пасика.
жена Росапа Мароя.
сыновья ихъ: Антоной.
Николай.
Іосифъ.
Михаилъ.

85. ПРАПОРЩИКЪ ДИМИТРІЙ РОСАПОВЪ.
жена его Агафоя.
сыновья ихъ: Симонъ.
Спиридонъ.
Алексей.
Мелхиседекъ.
дочь Саломоя.
брат Димитроя Подпоручикъ Виссароонъ.
жена его Ивлита.
сыновья ихъ: Давидъ.
Георгой.

дочери: Нестор.
Мароя.
Наталоя.
Кесароя.
Саломоя.

86. ГАРСЕВАНЪ БЕРОВЪ.
жена его Тинатина.

87. МАНУЧАРЪ РЕВАЗОВЪ.
жена его Мзехатуна.
сыновья ихъ: Константинъ.
Иванъ.
Леванъ.
дочь Кетевана.

88. СИМОНЪ ГЕОРГIЕВЪ.
жена его Сусана.
сыновья ихъ: Мизарбегъ.
Георгой.
дочь Марфа.

89. МУРЗАКАНЪ ГЕОРГIЕВЪ.
жена его Епемоя.
сыновья ихъ: Елизбаръ.
Фарнаозъ.
Алексей.
дочери: Нина.
Саломоя.
Екатерина.
Агатоя.
брат Мурзакана Шмага.
жена его Маоя.
сыновья ихъ: Дариспанъ.
Димитрой.
дочери: Марта.
Анусоя.

90. ВАХТАНГЪ РЕВАЗОВЪ.
жена его Маоя.

91. ВДОВА АРЧИЛА, МАРIАМА.
сыновья ея:
Михаилъ.
Константинъ.
дочери: Софоя.
Параскева.
жена Димитроя Елисавета.

92. АЛМАСХАНЪ ГЕОРГIЕВЪ.
жена его Хвахва.
сыновья ихъ: Давидъ.
Иванъ.

Асланъ.
Соломонъ.
Виссароонъ.
жена Ивана Патиана.
дочь Есма.

93. ВДОВА ТЕЙМУРАЗА, МАІЯ.
сыновья ея:
Димитрой.
Заалъ.
дочь Нина.

94. СИКО ЗУРАБОВЪ.
жена его Тасоя.
дочь ихъ: Елисавета.

95. ВДОВА ТАРІЕЛА, РУСУДАНА.
сын ея: Александръ.

96. ВДОВА ГИГО, МАІЯ.
сын ея: Несторъ.

97. ПЕТРЪ СИМОНОВЪ.
жена его Атато.
сыновья ихъ: Георгой.
Давидъ.
дочери ихъ: Марика.
Софоя.
Елисавета.
Марта.

98. ВДОВА ДЖАБУЛА, ВАРВАРА.
сыновья ея:
Петръ.
дочь Кесароя.

99. ВДОВА ДАВИДА, САЛОМІЯ.
сыновья ея:
Павелъ.
дочь Анастасоя.
жена Мераба Кесароя.
сынъ ихъ: Соломонъ.

100. ВДОВА МАМУКИ, ХВАХВА.
сыновья ея:
Александръ.
дочь Екатерина.

101. КАЦІЯ ГИГІЕВЪ.
жена его Марика.
сыновья ихъ: Давидъ.
Димитрой.

Антонъ.

102. КАЙХОСРО ГЕОРГІЕВЪ.
братья его: Константинъ.
Давидъ.
сестры его: Сарихуманъ.
Евфросиноя.

103. ЗААЛЪ РОСТОМОВЪ.
жена его Марфа.
сын ихъ: Платонъ.
дочери: Потина.
Ивлита.
Феодосоя.
брат Заала Бакаръ.
жена его Саломоя.
дочь ихъ: Феодосоя.

104. ПРАПОРЩИКЪ АРЧИЛЪ МЕРАБОВЪ.
жена его Мзеха.
сыновья ихъ: Георгой.
Парнаозъ.
дочь ихъ: Потина.

105. ВДОВА ОТІЯ, САЛОМІЯ.
сыновья ея:
Вениаминъ.
Евстафой.

106. РОСТОМЪ БЕРОВЪ.
жена его Дареджана.

107. ІУЛОНЪ КАЙХОСРОВЪ.
жена его Варвара.
сыновья ихъ: Капланъ.
Георгой.
Артемъ.
дочь ихъ: Христина.

108. ГЕОРГІЙ ГЕДЕВАНОВЪ.
жена его Екатерина.
сыновья ихъ: Леванъ.
Бичоя.
дочь ихъ: Цицина.
племянники Георгоя,
сыновья умершего Сико: Бичина.
Константинъ.

109. ПРАПОРЩИКЪ АЛЕКСАНДРЪ ХУТООВЪ.
жена его Марта.

110. ПОДПОРУЧИКЪ ПААТА ЗААЛОВЪ.
жена его Анастасоя.
сыновья ихъ: Ермилъ.
Варадебулъ.
дочери ихъ: Нина.

Софоя.

111. ПРАПОРЩИКЪ КОНСТАНТИНЪ ВАХТАНГОВЪ.

жена его Мзехатуна.

сыновья ихъ: Бактаръ.

Бакатина.

Прокана.

дочери ихъ: Феодосоя.

Камирлуха.

Сиклитона.

112. ВДОВА ДАВИДА, САЛОМІЯ.

сыновья ея:

Давидъ.

дочь Анна.

жена Мераба Кесароя.

113. ВДОВА БЕЖАНА, АННА.

дочь Анна.

жена Кайхосро Мзеха.

сыновья ихъ:

Владимиръ.

Несторъ.

дочери Агати.

Марфа.

## МИКЕЛАДЗЕ дворянский род

1291. ВАТА ДАВИДОВЪ.

жена его Марояма.

сынъ ихъ: Филиппъ.

дочь ихъ: Марина.

двоюродные братья Ваты: Григорой.

Алмасханъ.

Димитрой.

1292. БЕРИ КАЙХОСРОВЪ.

жена его Анусоя.

сынъ ихъ: Николай.

1293. СИКО БЕСОВЪ.

жена его Елисавета.

сыновья ихъ: Константинъ.

Бегларъ.

პუბლიკაცია მოამზადა ი.ბიჭიკაშვილმა

## დანართი 1

### ქართული საგვარეულო ჰერალდიკა

სიმბოლურ ნიშნების გამოყენება, ცნობილია უძველესი დროიდან. სიმბოლური ნიშნები გამოისახებოდა - ბეჭდებზე, მონეტებზე, დროშებზე, იარაღზე და სხვ.

შუა საუკუნეების პერიოდში, როცა ხშირად მიმდინარეობდა გამუდმებული ომები, მეომრები თავის ტანისამოსზე და იარაღზე, ისევე როგორც ძველი მსოფლიოს სამყაროს ლეგენდარული რაინდები, გამოხატავდნენ სიმბოლურ ნიშნებს.

ჯვაროსნული ლაშქრობების დროს (XI-XIII სს.), რომლებიც იმართებოდნენ მუსულმანებისაგან ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად და, რომლებშიც დასავლეთ ევროპის რაინდები იღებდნენ მონაწილეობას, სიმბოლურ ნიშნებს ისინი ატარებდნენ თავიანთ ტანისამოსზე და იარაღებზე.

ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ, რაინდების ნიშნები სამუდამო მემკვიდრეობით გადადიოდა შთამომავლებზე. დროთა განმავლობაში ისინი გადაიქცნენ სიმბოლურ გამოსახულებებად და გადაიზარდა ფეოდალური საგვარეულოების ჰერალდიკურ ნიშნებში. მას შემდეგ, რაც ამ ტრადიციამ ფეხი მოიკიდა, ჩამოყალიბდა მათი შედგენის წესები, რომლებსაც, როგორც მათ გერმანიაში უწოდებდნენ - ჰეროლდები (Heer-alt) ანუ ვეტერანები ადგენდნენ. სწორედ ჰეროლდების მიერ დადგენილი წესები დაედო საფუძვლად მეცნიერებას, რომლის სახელწოდებაა ჰერალდიკა (Heraldik).

ჰერალდიკა არის დამხმარე ისტორიული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის გერბებს და მათ გენეზისს.

სიმბოლური ნიშნები, რომლებიც იძენენ თავისი შედგენის, აღწერისა და გამოყენების ზუსტ წესებს და, რომლებიც მემკვიდრეობით თაობიდან თაობაზე გადადიან - გადაიქცევიან საგვარეულო ჰერალდიკურ ნიშნებად. მოცემულმა სიმბოლურმა ნიშნებმა, მიიღეს სახელწოდება "ჰერბი" (ეს სიტყვა წარმოშობით პოლონურია "ჰერბ", რომელიც უნდა მომდინარეობდეს გერმანულიდან - "ერბე" (მემკვიდრეობა). ჰერალდიკის ფრანგული სახელწოდებაა - "ბლასონ", რომელიც, წარმოიშვა, გერმანული "ბლასენ"-იდან, რომელიც ნიშნავს ბუკის კვრას).

მოგვიანოდ გერბების შედგენის უფლება სახელმწიფოს პრეროგატივა გახდა და შეიქმნა სპეციალური ჰერალდიკური დაწესებულება. მაშასადამე გერბი ნიშნავს ისეთ სიმბოლურ გამოსახულებას, რომელიც შედგენილია ზუსტად განსაზღვრული წესების საფუძველზე და დამტკიცებულია უზენაესი ხელისუფლების მიერ.

არსებობს გერბების შემდეგი სახეობები: 1. საგვარეულო, 2. ტერიტორიული და 3. სახელმწიფოებრივი, რომელიც იმავდროულად, ხშირად ემთხვევა მმართველი დინასტიის გერბსაც.

ქართველ ერს მრავალსაუკუნივანი და მრავალფეროვანი მდიდარი ისტორია აქვს, ისევე როგორც მის ჰერალდიკას.

ქართული საგვარეულო ჰერალდიკა ნაკლებად შესწავლილი დარგია ჩვენი ისტორიული მეცნიერებისა. საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა და საკუთრივ ჰერალდიკა იმდენად ხანდაზმულია და შორეულ წარსულშია საძიებელი, რომ მისი მოვლენების დასავლეთ ევროპულ და რუსულ ჰერალდიკასთან მექანიკურად შეპირისპირება გამართლებული არ არის.

უძველესი ქართული ჰერალდიკური სიმბოლოების ფესვები ტოტემური აზროვნების წიაღში იკარგება.

ქართულ ტოტემურ სიმბოლოთაგან განსაკუთრებული სიძველით გამოირჩეოდა გველის გამოსახულება. ასეთივე "ხანდაზმულია" ფასკუნჯის, ლომის, არწივის, ხარის, ცხენის (როგორც მზის განსახიერება) და სხვა გამოსახულებანი.

უძველესი ისტორია აქვს ლომის გამოსახულებას, როგორც ღვთაებრივი ძლიერებისა და ძალისადმი თაყვანისცემასაც. ხშირად ეს სიმბოლო დაკავშირებულია იმავე მნიშვნელობის სხვა სიმბოლოსთან - არწივთან. მაგალითად, კოლხეთში ლომის გამოსახულებას ფულზე ტვიფრავდენ. არსებობდა ასევე სხვა ემბლემები; კერძოდ, მთვარის ღვთაება - შემდგომში წმინდა გიორგი, ჯვარი წრეში და ა. შ., რომლებმაც ჰერალდიკური მნიშვნელობა მიიღეს.

ამ უკანასკნელთა სემანტიკური ანალიზი შუქს მოჰფენს აღნიშნულ ძეგლებზე მოცემული სიმბოლოებისა და ემბლემების წარმოშობის მიზეზებს, გაარკვევს ქართული ჰერალდიკის მრავალ თავისებურებას.

ჰერალდიკური ნიშნები გამოისახებოდა იარაღზე, ბეჭდებზე, მონეტებზე, დროშებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე, წიგნებზე, ნაგებობებზე და ა. შ.

საქართველოში განსაკუთრებით მრავლადაა შემორჩენილი სხვადასხვა ემბლემების შემცველი საბეჭდავები. ძველ ქართულ საბეჭდავთაგან განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს მეფე გიორგი III (1156-1184) სახელმწიფო ოქროს ბეჭედი, რომლის ემბლემა წმინდა გიორგის გამოსახვას შეიცავს: მარცხენა ხელში შუბით, მარჯვენა ხელით ფარზე დაყრდნობილი, რაც შებრუნებულია და, მაშასადამე, ადასტურებს, რომ იგი საბეჭდავი იყო.

გერბიანმა საბეჭდავებმა განსაკუთრებული გავრცელება საქართველოში XVIII საუკუნიდან მიიღო.

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართულმა ჰერალდიკამ ამ დროისთვის დასავლეთ ევროპაში და რუსეთში გავრცელებული ფორმები მიიღო.

რუსულ და ევროპულ ისტორიოგრაფიაში გამორიცხავდნენ საქართველოში ძველი ჰერალდიკური სიმბოლიკის არსებობას, თვლიდნენ რომ ქართული ჰერალდიკის ისტორია XVIII-XIX სს.-დან იწყება. ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომლის თანახმადაც ქართული ჰერალდიკა არსებობდა ოდითგანვე, მაგრამ არა იმ სპეციფიკური ფორმით, რომელიც დამკვიდრებული იყო დასავლეთ ევროპაში და რუსეთში.

რუსულ ისტორიოგრაფიაში არსებობს აზრი, რომლის თანახმად პირველი ქართული საგვარეულო გერბები ჩნდებიან მხოლოდ XVIII ს.-ის დასაწყისში, როდესაც ქართლის მეფე ვახტანგ VI (1703-1724), 1724 წელს რუსეთში გადასახლდა და იქ "გაეცნო" ჰერალდიკას. თითქოს სწორედ ამის შემდეგ ვახტანგ VI და მისმა მრავალრიცხოვანმა ამალის წევრებმა შექმნეს პირველი ქართული საგვარეულო გერბები. ცნობილი რუსი

ჰერალდისტი ა.ლაკიერი თავის წიგნში "Русская геральдика" - წერს: "По общему отзыву ученых, занимающихся историей Грузии, и самих грузин, у них никогда не было понятия о гербе в том смысле, как его разумеют другие народы, и самые даже гербы. данные дворянским родам Грузии при русском правительстве, называются там печатями".

იოანე ბატონიშვილი თავის ცნობილ ნაშრომში "კალმასობა" გერბის შესახებ შემდეგ განმარტებას გვაძლევს: "ღერბნი არიან ნიშანნი ხარისხისა და პატივისანი, წარმოდგენილნი ფერებითა და ნაკვეთებთაგან ფარსა ზედა ანუ გულსა ზედა ღერბისა განსხვავებისათვის გვართა ანუ შთამომავლობათა და საკუთართა ადგილთა და ქვეყნიურობისათა".

პირველი ქართული საგვარეულო გერბი განეკუთვნება ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას. ის ცნობილია კახეთის მეფის ლევან I (1518-1574) მეუღლის - დედოფალ თინათინის საფლავის ქვიდან (სურ. №1-1ა). გერბის ფარში გამოსახულია უდიდესი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სიწმინდე - ქრისტეს კვართი, რომელიც ახ. წ. I ს.-დან ჩვენს დრომდე საქართველოში ინახება. ორ ლომს უპყრია ფარი. ფარის თავზე გამოსახულია გადაჯვარედინებული სკიპტრა და მახვილი (ხმალი), როგორც სამეფო ხელისუფლებისა და ქართველი მეფეების სამხედრო ძლიერების სიმბოლო. დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) მიერ არჩეული დევიზი - "მე მესიის მახვილი", შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. მარჯვნივ - მეფსალმუნე დავით მეფის ქნარია, მარცხნივ - მისივე შურდული. ეს ფიგურები სიმბოლურად გამოხატავენ ლეგენდას, რომლის მიხედვით ქართული სამეფო დინასტია - ბაგრატიონები წარმოშობით უკავშირდებოდნენ გოლიათის მძლეველ ბიბლიურ მეფე დავითს. ფარის ქვემოთ მარცხნივ (ჰერალდიკური თვალსაზრისით მართებულად) გამოსახულია სასწორი, ბიბლიური მეფის დავითის ძის - მეფე სოლომონის მართლმსაჯულების სიმბოლო. ფარის მარჯვენა მხარეს წაშლილია გამოსახულება, რომელიც თუ კი შევადარებთ ქართლისა და კახეთის მეფეების მომდევნო გერბებს 1801 წლამდე, სამეფო სფერო უნდა იყოს. ფარს თავზე გვირგვინი ადგას, რომელიც წააგავს ევროპულ სამეფო გვირგვინებს. მის გარშემო მოყვანილია ტექსტები ფსალმუნებიდან: "ქ. უფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი. ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა" (ფს.131,11); და "ქ. კვართი იგი რომელი იყო უკერველ ზეით გამქსოვილ ყოვლად" (იოანე. 19.23).

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩვენამდე მოღწეული საგვარეულო გერბებიდან აღსანიშნავია იმერეთის მეფის - ალექსანდრე III (1639-1660) მეუღლის თამარ დედოფლის გერბი (სურ. № 2). გერბი ასე გამოიყურება - ფარი გაყოფილია ოთხ ნაწილად, პირველ ნაწილში გამოხატულია დავით წინასწარმეტყველის ქნარი, მეორეში - მისივე შურდული, მესამეში - კვერთხი, ხოლო მეოთხეში - გადაჯვარედინებული სკიპტრა და მახვილი. ფარის ზემოთ გამოსახულია გვირგვინი. იმერეთის დედოფლის თამარის გერბში ქრისტეს კვართის უქონლობა (ის ჩნდება იმერეთის ბაგრატიონების გერბზე XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე), შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ ახ. წ. აღ.-ით I საუკუნიდან ქრისტეს კვართი ინახებოდა ქართლში (აღმოსავლეთ საქართველოში).

საჭიროა აქვე მოვიყვანოთ იესო ქრისტეს კვართის ისტორია. იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ, "რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმიდასა ღმრთისმშობელსა წილად ხვდა მოქცევად ქუეყანასა საქართველოსა"; როცა მაცხოვარი მას გამოეცხადა თქვა: "ჵ, დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი საზეპურო უფროს

ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთBს. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თანაწარატანე ხატი შენი ვითარიცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკBდრობდეს მცეულად მათდა უკუნისამდე ჟამთა" (ქართლის ცხოვრება). ღვთისმშობელმავე წარმოგზავნა მოციქულთა სწორი წმ. ნინო თავის წილხვდომილ ქვეყანაში. წმინდა ნინოს აღმზდელი მოხუცი ქალი უყვება მაცხოვრის მიწიერი წამების შესახებ - "ხარებასა და ნათლის ღებასა, ჯუარცუმასა და აღდგომასა, და სუდრისათჳს და ტილოთა, და ჯუარისათჳს და კუართისა". წმინდა ნინო კითხულობს "სადაობასა კუართისასა", რაზედ პასუხად მიიღო: "ჰხუდა იგი წილად ჰურიათა მცხეთელთა". მოციქულთა სწორი წმ. ნინო "ყოველსა ჟამსა ევედრებოდის სენაკსა შინა თჳსსა ხატსა მას წმიდისა ღმრთისმშობელისა წინაშე მდგომარე", რათა ენახა საქართველოში მყოფი ერთ-ერთი უპირველესი ქრისტიანული სიწმინდე - მაცხოვრის კვართი. "წმიდამან ღმრთისმშობელმან შეისმინა ვედრებისა მისისაჲ და მოიჴსენა წილხუდომაჲ მისი ქართველთა ნათესავისაჲ, ოდეს იგი წილ იგდეს მოციქულთა ქუეყანაჲ, და ამისთჳსცა განჰმზადა ღირსი და წმიდაჲ ნინო მოციქულად. და ნეტარ ვართ ჩუენ და სამგზის სანატრელნი, რამეთუ ნაწილნი ვართ ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისანი"; "ხოლო ღამესა მას გამოუჩნდა ღირსსა ნინოს ძილსა შინა წმიდაჲ ღმრთისმშობელი და ჰრქუა: "წავედ ქუეყანად ჩრდილოეთისა და უქადაგე სახარებაჲ ძისა ჩემისაჲ, და ჰპოო შენ მადლი წინაშე ღმრთისა, და მე ვიყო მფარველი ჴელის ამპყრობელი შენი".

ქართული ისტორიული წყაროებით, "წარვიდა ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, და მუნ დახუდეს ჯუარცმასა უფლისა"; მას შემდეგ, რაც იესო ქრისტე, და მუნ დახუდეს ჯუარცმასა უფლისა"; მას შედდეგ, რაც იესო ქრისტე "დამსჭუალეს" "კუართი იგი უფლისა წილით ხუდა მცხეთელთა: წამოიღო ელიოზ და მოიღო მცხეთას" - "მეორე იერუსალიმად" წოდებულ ქალაქში. IV საუკუნეში სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის შემდეგ მეფე მირიან III-ის მიერ, კვართი ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. XV საუკუნის დასასრულს ერთიანი საქართველოს მონარქია ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად დაიყო. დროთა განმავლობაში საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიაც ორ: აღმოსავლეთ საქართველოს და დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოდ დაიყო. ქალაქ მცხეთაში მდებარე სვეტიცხოვლის ტაძარი, სადაც ინახებოდა ქრისტეს კვართი, ქართლის მეფეების მფლობელობაში შევიდა. ამის გამო, როგორც ჩანს, იმერეთის მეფეებმა თავიანთ გერბში კვართი არ შეიტანეს. ყურადღება იმაზეც უნდა გავამახვილოთ, რომ მიუხედავად ზემოთ აღწერილი ორივე გერბის გარეგნული განსხვავებისა, ფიგურები და ემბლემები მათ ერთი და იგივე აქვთ (კვართის გამოკლებით). ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ბაგრატიონთა დინასტიის საგვარეულო სიმბოლიკა წარმოიშვა ჯერ კიდევ ქართლის, კახეთისა და იმერეთის შტოებად დაყოფამდე, ანუ XV საუკუნემდე. შესაძლოა ჩვენთვის უფრო ადრე ცნობილი ბაგრატიონების საგვარეულო სიმბოლოები (ქრისტეს კვართი, ლირა, შურდული, სკიპტრა, ხმალი, კვერთხი) გამოიყენებოდნენ ბეჭდებზე, დროშებზე და შესაძლოა არსებობდა გაერთიანებული საქართველოს სამეფო გერბიც ბაგრატიონთა დინასტიის მეთაურობით. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ საქართველოს მეფის გიორგი VII (1393-1407) მიერ საქართველოში შემოიჭრილი თემურ ლენგის (1370-1405) მიმართ გაცემული პასუხი: “ძირთაგან დავით წინასწარმეტყუელისა აღმოცენებულ

ვართ და მის გამო ღმრთისა მიერ ცხებით განეგების მეფობა ჩუენ ბაგრატიონთა და ტომნი ვართ დავით მეფისა და წინასწარმეტყუელისა".

საქართველოს სამეფო, რომელიც ესაზღვრებოდა ტრაპეზუნტისა და ბიზანტიის იმპერიებს, ჰერალდიკა უკვე XII-XIII საუკუნეებში გამოიყენებოდა (ანუ უკვე ჰქონდათ გერბები). მოცემული ქვეყნების ხელმწიფეებთან ქართველ მეფეები ნათესაურად იყვნენ დაკავშირებული. ცნობილია ქართველთა კონტაქტები რაინდ-ჯვაროსნებთან. ასმა ჯვაროსანმა 1121 წელს სახელგანთქმულ დიდგორის ომში მიიღეს მონაწილეობა თურქ-სელჩუკებისა და მუსულმანი ამირების წინააღმდეგ, რომელიც მეფე დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა.

ინტერესს არ არის მოკლებული იოანე ბატონიშვილის მიერ მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ დავით IV აღმაშენებლის გერბზე "ცხენი რქოსანი" იყო გამოხატული. იოანე ბატონიშვილი არ წერს, ეს გამოსახულება საბეჭდავზე იყო თუ დროშაზე: "ღერბსა ამა მეფისა შეჰსძინეს ცხენი რქოსანი, რომელიც მოიპოა თვით მეფემან, მიმავალმან მარტოდ ტფილისიდან ქუთაისს საშენებელად... იხილა მცხეთის იწროთა ადგილთა შ»ა ცხენი ესე რქოსანი, დაუძახა მეფემან... აღუდვა ლაგამი წმინდის გიორგის ცხენისა... ცხენი იგი ესრეთი იყო მკვირცხლ და მალი, რომელ ერთს დღეს ადრე მივიდის ტფილისიდგან ქუთაის და მუნიდგან ქართლს და ქართლიდან კახეთს". ამ ცნობას ერთგვარი ანგარიში უნდა გაეწიოს. (სურ. № 3)

გარკვეულ ინტერესს მოცემული საკითხისთვის იწვევს ის ჩვენებები, რომლებიც მოცემულია სომეხი ისტორიკოსის ჩევაირჩიანის სტატიაში "ზოგიერთი ცნობები ქართულ-სომხური ურთიერთობებიდან XIV საუკუნის კილიკიის სომხურ სახელმწიფოში". მასში გადმოცემულია შემდეგი: 1311 წლის 6 იანვარს ქალაქ თარსში შედგა ქორწინება ხეთუმიდების დინასტიის წარმომდგენლის - კილიკიის მეფე ლევონ III ქალიშვილის ალისას (1288-1316) და "ქართველთა მეფის" გიორგის შვილის - დავით უფლისწულისა. დანათესავდნენ თუ არა კილიკიის სამეფო კართან, უფლისწულმა დავითმა წილად მიიღო ციხე-სიმაგრე კაპანი (Gaban) მის შემოგარენთან ერთად, პარონის ტიტული და სათავე დაუდო ბაგრატიონთა კილიკიურ შტოს. ალისასთან ქორწინებით მას შეეძინა ორი შვილი - ტოროსი და ოშინი. 1316 წელს გარდაცვლილი ალისას საფლავზე გამოხატულია გერბი (სურ. № 4). საფლავის ქვის აღწერილობა მოცემულია წიგნში: Langlis V. voyage dans la Cilice et dand les mountagnes du Tauris. შეიძლება რაიმე ამგვარი გერბებით სარგებლობდნენ მისი შთამომავლებიც. ცნობილია კილიკიის სამეფო დინასტის წარმომადგენლების - ხეთუმიდების სამეფო გერბი (სურ. № 5), რომელიც საერთოდ არ წააგავს ამ გერბს. შესაძლოა მოცემულ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა ბაგრატიონთა «ევროპული» გერბის ყველაზე ძველი სახეობა.

მესამე, ჩვენამდე მოღწეულ საგვარეულო გერბთაგან, აღსანიშნავია ქართლის მეფის ვახტანგ VI (1703-1724) გერბი. ფორმალური თვალსაზრისით ეს გერბი ეკუთვნოდა ვახტანგ VI ბიძას, ქართლის მეფეს გიორგი XI (1676-1688, 1703-1709) (სურ. № 6). ეს გერბი მოთავსებულია 1709 წ. გამოცემულ "სამოციქულოში". გერბის გამოსახულება შემდეგია: ქართული ორნამენტით გარემოცულ კვადრატულ ფარში ოთხ ფრთოსან ანგელოზს სახელურებით უპყრია მცირე, მრგვალი ე.წ. ბიზანტიური ფარი, რომლის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია ქრისტეს კვართი. კვართის მარჯვნივ მეფე დავით წინასწარმეტყველის ქნარია, მარცხნივ - მისივე შურდული, დაბოლოებაში კი

სიასამურის ბეწვი მომცრო ჯვრით. ჩასმულ ფარს თავზე გვირგვინი ადგას, მარჯვნივ და მარცხნივ კი სამეფო რეგალიები - ხმალი და სკიპტრაა მოთავსებული. მრგვალი ფარის ქვევით ლომია (ლეოპარდია) გამოსახული. კვადრატულ ფარზე დატანებულია ქარაგმები: კვართის თავზე - ქ კ (ქრისტეს კვართი), ქნარსა და შურდულს ზემოთ - დ ქ (დავითის ქნარი), და დ შ (დავითის შურდული). კვადრატული ფარის თავისუფალ ადგილებზე მოთავსებულია შემდეგი ასომთავრული ასოები: წ, ღ, დ, პ, მ, გ, ყ, ს. აკადემიკოსმა მარი ბროსემ ეს დაქარაგმებული ასოები შემდეგნაირად გაშიფრა: "წყალობითა ღვთისათა, დავითიან პანკრატიონი მეფე გიორგი ყოვლისა საქართველოსი". გერბს თან ერთვის ლექსი (სავარაუდოდ დაწერილი ვახტანგ VI მიერ), რომელიც მის სრულ განმარტებას წარმოადგენს:

"გასინჯეთ ბეჭდის იგავი, მსმენნო ნუ გაქუან წყინება
ფსალმუნთ ქნართ ცემა დავითის თუმც ჩაზედ იყო სმინება
ქრისტესა მოასწავებდა ვინ და ჴსნა ცრემლთა დინება
დავითის ტომით ჴორცთ შესხმა თუ ვითარ მხსნელმა ინება.

ამ შურდულითა დავით სძლო გოლიათ არ თუ ზავებდა
ლომნი ტახტისა სოლომონს შჳდს სიბრძნეს მოასწავებდა
მჴსნელი ვინ აღთქმას უდებდა ქმნულთ ეგრე გაუთავებდა
ვით ძალევდა და შეჰგვანდა მის მტერზედ ეგრე დავებდა.

როს მჴსნელმა სათნო იჩინა ქალწულის მუცლად ღებანი
მით იყო წახმართ ყოველთა ამ საქმით განათლებანი
ჯუარცმით გამოჴსნით ყოვლთ სულთა უყო მის ქმნისა ნებანი
განკურნა წყლულნი უწამლო რომელი გვჭირდა სნებანი.

ოდეს უქსოვა ქალწულმან მჴნელს კვართი ქსელით გდებული
იგი ელიოზ წილად ხუდა მოვიდა ქართლად რებული
სად არის სახლად უფლისად სვეტი ცხოველი გებული
აქა ძეს ჩუენთჳს სულთა ხსნად კურნებად იმედებული

ქართველთ მეფენი დავითის გვარ ტომით მოდგამობითა
თჳთ ყოვლად წმინდა უბიწო არის მათ ძირთაგან შობითი
ვართ მისთჳს წილად ხდომილნი და მისის იმედობითა
ამად არ ვიქმნათ უხილავთ მტერთაგან ლახვარ სობითა".

შემდეგი გერბი ეკუთვნის ქართლის მეფე ქაიხოსროს (1709-1711), რომელიც ვახტანგ VI უფროსი ძმა იყო. მეფე ქაიხოსროს გერბი მოყვანილია 1710 წლის კონდაკში (სურ. № 7), რომელიც წარმოადგენს მეფე გიორგი XI გერბის კოპიოს, სადაც მხოლოდ ქარაგმაა უკვე შეცვლილი: წ, ღ, ი, დ, ს, პ, მ,ქ, ყ, ს - "წყალობითა ღვთისათა, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიონი მეფე ქაიხოსრო ყოვლისა საქართველოსა". ცნობილია ასევე საკუთრივ ვახტანგ VI-ის პირადი გერბიც. (სურ. № 8) მისი

გამოსახულება შემდეგია: ანდრია პირველწოდებულის ორდენის ჯაჭვით გარშემორტყმულ მრგვალ ფარში ჩასმულია მცირე მართკუთხა ფარი, რომელიც ორ ლომს უპყრია. ამ ფარში მაცხოვრის კვართია გამოსახული. მცირე ფარის თავზე გადაჯვარედინებული ხმალი და სკიპტრაა, უფრო მაღლა კი სამეფო გვირგვინი, მის მარჯვნივ ქნარი, ხოლო მარცხნივ - შურდული. მრგვალი ფარის დაბოლოებაში, მარჯვნივ, გამოხატულია უმაღლესი სამეფო ხელისუფლების სიმბოლო - სფემო, მარცხნივ კი სასწორი - სოლომონ მეფის ბრძნული მართლმსაჯულების ნიშანი. ვახტანგ VI-ის გერბი შედგენილია 1726-1737 წლებს შორის.

ვახტანგ VI-ის ვაჟის ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს შედგენილ კავკასიის რუკას დართული აქვს მასზე აღბეჭდილი ქვეყნებისა და მხარეების გერბები. მათ შორის მოყვანილია ბაგრატიონთა საგვარეულო გერბიც. (სურ. № 9) მისი გამოსახულიბა შემდეგია: მწვანე ფონზე ორ ვარდისფერ ლომს უპყრია მართკუთხა გადაკვეთილი ფარი. ზემო თეთრ ნახევარში მოთავსებულია მაცხოვრის ყვითელი კვართი, ქვედა ნახევარში კი სწორკუთხადაა ოთხად გაყოფილი. ზემო მარჯვენა მეოდხედში ძალაუფლების გამომხატველი სფეროა, ზემო მარცხენაში - ბიბლიური მეფე დავით წინასწარმეტველის ქნარი. ქვემო მარჯვენა ნაწილში დავითისვე შურდული, ხოლო ქვემო მარცხენაში კი - სამეფო ხელისუფლების ამსახველი, ირიბად გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი. ყველა დასახელებული ფუგურა ყვითელია (ანუ ოქროს) ფერისაა. გვირგვინის ზემოთ მოყვანილია განმარტებითი წარწერა: სამეფო კვართიან დავითიან საქართველოსი", რაც პირდაპირი მინიშნებაა იმისა, რომ მმართველი დინასტიის და სახელმწიფოს გერბი გაიგივებულია.

ქართლ-კახეთის ერეკლე II-ს (1744-1798) მეფობაში ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი უკვე სრულიად ითავსებს სახელმწიფო სიმბოლოს ფუნქციას. ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერებასთან ერთად ერეკლე II-მ გერბმცოდნეობის მოწესრიგებასაც მიჰყო ხელი. ეს შეეხო როგორც სახელმწიფო თუ სამხარეო, ასევე საგვარეულო ჰერალდიკასაც, რომელიც მანამდე არც კი არსებობდა. იმ დროინდელი გერბი გამოსახულია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაციის სიგელზე დართულ საკიდ ბეჭედზე. ეს არის საქართველოს სამეფოს პირველი ოფიციალურად დამტკიცებული სახელმწიფო გერბი. (სურ. №10-10ა) ბეჭდის ცენტრალური და მთავარი ფიგურა მეფისა და ბაგრატიონთა საგვარეულოს გერბს წარმოადგენს. ჰერალდიკური თვალსაზრისით, უფრო მართებული იქნებოდა გერბის აღწერა ფარის თავზე გამოსახული რუსეთის იმპერიის ორთავიანი არწივით დაგვეწყო, რომელიც მეფე ერეკლე II-მ მხოლოდ იმიტომ დაიტანა, რომ ეჩვენებინა მისი დამოკიდებულება და მდგომარეობა რუსეთის სახელმწიფოს მიმართ. ბაგრატიონთა სამეფო გერბზე არწივის ამგვარ გამოსახულებას მხოლოდ "გიორგიევსკის ტრაქტატის" რატიფიცირებული ტექსტის ბეჭედზე ვხვდებით და იგი ბაგრატიონთა გერბის შემადგენელი ემბლემას არ წარმოადგენდა, მითუმეტეს რომ შემდეგ მეფე გიორგი XII-მ და დავით XII სამეფოს მმართველმაც იგი საკუთარ გერბებზე აღარ გამოსახეს. გერბის აღწერილობა შემდეგია: "მართკუთხა, ფრანგული ფარი ორადაა გაყოფილი. როგორც ავღნიშნეთ ზევით რუსეთის იმპერიის ორთავიანი არწივია. ქვედა ნაწილი ოთხადაა გაკვეთილ-გადაკვეთილი, მის შუაში კი მომცრო ფარით ქრისტეს კვართით. პირველ მეოთხედში სფეროა, მეორეში - დავით წინასწარმეტყველის ქნარი, მესამეში - გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, მეოთხეში - იმავე ბიბლიური მეფე

დავითის შურდული. გერბის ფარს წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი აქვს შემოვლებული, რომელიც ერეკლე II-მ 1769 წელს მიიღო იმპერატრიცა ეკატერინე II-გან. გერბს თავზე ადგას ორიგინალური ქართული სამეფო გვირგვინი.

ქართლ-კახეთის სამეფოს დიდ სახელმწიფო ბეჭედზე ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის გარშემო, იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოებში მიღებული წესის მსგავსად, ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი სხვადასხვა ტერიტორიული გერბებიცაა წარმოდგენილი. ეს გერბები თავად მეფე ერეკლე II-ს ტიტულატურის მიხედვით არის შექმნილი. მეფე ერეკლე II-ს სრული ტიტულატურა მოყვანილი "გეორგიევსკის ტრაქტატის" რატიცირებული ტექსტის შესავალში შემდეგია: "ირაკლი მეორე, წყალობითა ღმრთისათა და თქვენი იმპერატორების დიდებულესობის კეთილ ნებობითა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილოსი, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა".

ბეჭედზე გამოსახულია ტერიტორიული გერბების შესწავლა საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მთავარი ფიგურის გარშემო გამოსახულია პირველი გერბი - წმინდა გიორგი, მეფის ტიტულის მიხედვით, ქართლის გერბი უნდა იყოს, ხოლო მეორე - ალმოდებული მთა ორი გადაჯვარედინებული ისრით - კახეთისა. ბეჭედზე გამოსახული დანარჩენი გერბები შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: 3. ერევნის სახანოს გერბია - არარატის მთა ნოეს კიდობანით (ეს სიმბოლო დღევანდელი სომხეთის გერბის გულზეა გამოსახული); 4. განჯის სახანოს გერბია - ქრისტესშობის სხენა - ღვთისმშობელი ყრმით და სამი მოგვი. ერეკლე II-ს მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით აქ სამი ალმოდებული მწვერვალი უნდა იყოს გამოსახული, რომელიც შემდეგ ბოქოს გუბერნიის გერბი გახდა და დღევანდელი აზერბაიჯანის გერბს წარმოადგენს; 5. სამცხე-საათაბაგოს გერბი - მონასტერი ტბის პირას; 6. ყაზახის გერბი - ხელი, რომელცას ისარი უჭირავს; 7. ბორჩალოს გერბი - ხმალი; 8. შამშადილოს გერბი - თოფი; 9. შირვანის გერბი - მგელი; 10. შაქის გერბი - მელია. მეფე ერეკლე II-ს ტიტულატურაში "კაკსაც" ვხვდებით, რომელიც ბეჭედზე არ არის მოყვანილი.

მეფე ერეკლე II-ს მმართველობის პერიოდს მიეკუთვნება ასევე ქართულ ჰერალდიკასთან დაკავშირებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა. 1765-1766 წლებს შორის, პირველად ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში, თბილისის ზარაბხანაში მოჭრილ მონეტაზე ჩნდება ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის სიმბოლიკა. (სურ. №11)

მომდევნო ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი ეკუთვნის ქართლ-კახეთის მეფეს გიორგი XII-ს. (სურ. №12) ამ გერბმა შეითავსა საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს) სახელმწიფო გერბის ფუნქცია. მისი გამოსახულება შემდეგია: მრგვალ ე. წ. ბიზანტიურ ფარს ცენტრში მოთავსებულია მცირე მრგვალი ფარი ქრისტეს კვართის გამოსახულებით. მრგვალი ფარი ორ ლომს უპყრია. კვართის გარშემო შემორტყმულია ქართული ტექსტი იოანეს სახარებიდან: "ქ. კვართი იგი რომელი იყო უკერველ ზეით გამქსოვილ ყოვლად" (იოანე. 19.23.). მცირე, პატარა მრგვალი ფარის თავზე მოყვანილია გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, ხოლო მარჯვნივ - მეფე დავით-წინასწარმეტყველის ქნარი და მარცხნივ - მისივე შურდული. მცირე ფარის თავზე დგას

ორიგინალური ქართული გვირგვინი, ხოლო მარჯვნივ-მარცხნივ ორი ფრთოსანი ანგელოზი. მცირე ფარის ქვემოთ - მარჯვნივ-მარცხნივ მოთავსებულია სფერო და სასწორი. დაბოლოებაში კი სიასამურის ზეწვი. დიდი მრგვალი ფარის გარშემო შემორტყმულია ქართული წარწერა დავით-წინასწარმეტყველის ფსალმუნის ტექსტით: "ქ. ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი. ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა" (დავითის ფსალმუნები. 131.11).

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მმართველის დავით XII ბატონიშვილის ხანმოკლე მმართველობის პერიოდში (1800-1801 წწ.) შეიქმნა ე. წ. "პროტექტორატის დროინდელი" გერბი (სურ. №13). 1801 წლიდან აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთის სამეფო) ფაქტობრივად რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი ხდება. ჰერალდიკამ ამაზე თავისებური რეაგირება მოახდინა, რომელიც გამოიხატა სტილის სრული გამოცვლით. ამით დამთავრდა ქართული ჰერალდიკის პირველი პერიოდი (XVI ს. [დაახ. 1540 წ.] - 1801 წ.). ამ პერიოდში ნაკლებად ითვალისწინებდა ევროპული ჰერალდიკის წესები. Aმას მოჰყვა მეორე პერიოდი, რომელსაც პირობითად რუსულ-ევროპულს ვუწოდებთ. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება დავით XII ბატონიშვილის გერბი, რომელსაც ჰერალდისტმა მ.ვადბოლსკიმ ე.წ. "პროტექტორატის დროინდელი" გერბი უწოდა. მისი გამოსახულება შემდეგია: "ორ ლომს გადაკვეთილი და ორჯერ გაკვეთილი გერმანული ფარი უპყრია. პირველ ნაწილში დავით-წინასწარმეტყველის ქნარია, მეორეში - ქრისტეს კვართი, მესამეში - სფერო და შურდული, მეოთხეში - გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, ტარებით ზევით, მეხუთეში - წმ. გიორგი გმირავს გველეშაპს, ხოლო ბოლო მეექვსეში - სასწორი. ფარს თავს ქართული გვირგვინი ადგას, ქვევით კი ლათუნური დევიზი უძევს.

იმერეთის სამეფოს ბაგრატიონთა დინასტიის საგვარეულო ჰერალდიკა ნაკლებად ცნობილია. ჩვენს დრომდე მოაღწია მხოლოდ რამოდენიმე გერბის გამოსახულებამ: 1) იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ს (1639-1660) პირველი მეუღლის დედოფალ თამარის გერბმა (იხ. ზემოთ), 2) იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ს (1720-1752) და 3) იმერეთის მეფის სოლომონ II-ს (1789-1810) გერბებმა. მეფე ალექსანდრე V-ს გერბის გამოსახულება მოყვანილია სიგელის ბეჭედზე, რომელიც მან გაუგზავნა 1732 წელს რუსეთის იმპერატრიცა ანა იოანეს ასულთან (1730-1740). გერბის გამოსახულება შემდეგია: "Овальная печать; вокруг надпись церковными буквами:"Клялся Господь Давиду, по истине я поставлю...". Царь Александр. 1731 г. По Р.Х.". В центре герб; над ним царская корона. Щит разделен на четыре части: в первой держава; во второй арфа (лира царя-пророка Давида); в третьей скипетр на крест с мечом; в четвертой праща. По обеим сторонам щита львы".

იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II (1789-1810) გერბი დაბეჭდილია 1807 წელს - "დავითნი"-ში. მისი გამოსახულება შემდეგია: მართკუთხა ფარის ცენტრში მოთავსებულია მცირე ფარი ქრისტეს კვართის გამოსახულებით. მცირე ფარი ორ ლომს უპყრია. კვართის გარშემო შემორტყმულია ქართული ტექსტი იოანეს სახარებიდან: "ქ. კვართი იგი რომელი იყო უკერველ ზეით გამქსოვილ ყოვლად" (იოანე. 19.23.). მცირე, პატარა ფარის თავზე მოყვანილია გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, ხოლო მარჯვნივ - მეფე დავით-წინასწარმეტყველის ქნარი და მარცხნივ - მისივე შურდული. მცირე ფარის თავზე დგას ორიგინალური ქართული გვირგვინი, ხოლო მარჯვნივ-მარცხნივ ორი ფრთოსანი ანგელოზი. მცირე ფარის ქვემოთ - მარჯვნივ-მარცხნივ

მოთავსებულია სფერო და სასწორი. დიდი ფარის გარშემო შემორტყმულია ქართული წარწერა დავით-წინასწარმეტყველის ფსალმუნის ტექსტით: "ქ. ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი. ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა" (დავითის ფსალმუნები. 131.11). (სურ. №14)

ძველი კოლხეთის ხსოვნის საპატივცემულოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იმერეთის მეფეებისა და უფლისწულების ბაგრატიონების საგვარეულო გერბზე გამოსახულია კრავი - სიმბოლო ქვეყნის სიძველისა, რომლის ისტორია არგონავტების მითამდე და ოქროს საწმისამდე აღწევს (სურ. №15). XV ს. ბოლოს საქართველოს ერთიანი სამეფო ცალკეული პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლას ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფო შტოების ჩამოყალიბების გარდა ბაგრატიონთა საგვარეულო სახლის არა ერთი განშტოების წარმოშობა მოჰყვა. XVI ს. დასაწყისში ქართლის ბაგრატიონთა სამეფო სახლს გამოეყო მუხრანბატონთა შტო, რომლებიც 1512 წლიდან 1801 წლამდე ფლობდნენ მუხრანის სამფლობელოს. ჩვენამდე მოაღწია მუხრანბატონებისა და ბაგრატიონ-მუხრანელების რამოდენიმე გერბების ვარიანტებმა. ყველაზე ადრინდელი გერბი ეკუთვნის ქართლის მეფის იესეს (ბაგრატიონთა მუხრანის შტოს წარმომადგენლები) შტამომავლებს, რომლებიც 1757 წელს გადასახლდნენ რუსეთში.

მათი გერბი 1803 წლის 4 ოქტომბერს იმპერატორ ალექსანდრე I მიერ დამტკიცდა როგორც უზენაესი და «საერთო საგერბოს» VII ნაწილში 2-ე ნომრით შევიდა თავად ბაგრატიონთა საგვარეულო გერბად. (სურ. №16) გერბი ასეა აღწერილი: ფარი გაყოფილია ოთხ ნაწილად, რომელთაგან პირველ წითელ მინდორზე გამოსახულია ოქროს კვერთხი. მეორე - ლურჯ მინდორზე ქნარი. მესამე იმავე ლურჯ მინდორში გადაჯვარედინებულია სკიპტრა და ხმალი. ფარი ურყრია ორ ლომს. ფარი შემკულია მანტიითა და გვირგვინით, რომელიც სათავადო ღირსების მაუწყებელია. თავად ბაგრატიონ-მუხრანსკების დანარჩენი გერბები პირადი საოჯახო არქივებიდან, ბეჭდებიდან და სასაფლაოს ქვებიდან არის ჩვენთვის ცნობილი (სურ. №17-18). ეს გერბები იმეორებენ ქართული სამეფო გერბის სიმბოლიკას. მხოლოდ თავად ბაგრატიონ-მუხრანელებს აქვთ შემონახული თავიანთ გერბში ქრისტეს კვართის სიმბოლიკა. ეს იმითაც აიხსნება, რომ XVI-XX საუკუნეებში თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკები იკრძალებოდნენ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, რომელიც ქალაქ მცხეთაშია და სადაც ინახება ქრისტეს კვართი. მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის მეფეებისა და უფლისწულების გერბებშიც ჩნდება ქრისტეს კვართი (სურ. №15).

XV ს. დასაწყისში კახეთის ბაგრატიონთა სახლს გამოეყო ბაგრატიონ-დავითიშვილების შტო, რომელიც შიდა საგვარეულო უთანხმოების გამო იყო გადასახლებული ქართლში. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით "რამაზიშვილი და დავითიშვილი არიან ავ-გიორგის ძმის დიმიტრისაგან, რომელი არჩინა მეფემან (ქართლის მეფე დავით X-მ. ი.ბ.). მე-XVIII საუკუნიდან ცნობილია თავად ბაგრატიონ-დავითიშვილების საგვარეულო გერბი (სურ. №19). მისი გამოსახულება შემდეგია: «ფარი ოთხნაწილიანია. პირველ ნაწილში წმ. გიორგია გამოხატული. მეორე ნაწილში - ჯვარი, მესამეში - სოლარული ნიშანი მზისა (ხუთქიმიანი ვარსკვლავი) და მეოთხეში - ენაგადმოგდებული ლომი, რომელიც მარჯვნივ იყურება.»

მე-XVII ს. მეორე ნახევარში კახეთის ბაგრატიონთა სახლს ასევე გამოეყო ბაგრატიონ-ბაზადიშების შტო. თავად ბაგრატიონ-ბაზადიშების გერბზე აისახა ასევე ბაგრატიონთა სამეფო სიმბოლები (სურ. №20). გერბის აღწერა შემდეგია: "ფარი ოთხადაა გაყოფილი. პირველ ნაწილში გამოსახულია სამეფო კვერთხი და სფერო, მეორეში - ბიბლიური მეფე დავითის ქნარი და შურდული, მესამეში - ზარბაზანი და მეოთხეში კი კრავი".

დღეისთვის ცნობილია ქართველი მეფეების - ბაგრატიონების საგვარეულო და მისგან წარმომდგარი გერბების 50 მეტი ვარიანტი. რუსეთის იმპერიაში 1886 წლის 22 იანვარს დამტკიცდა უგანათლებულესი თავადების გრუზინსკების გერბი, რომლებიც მეფე ერეკლე II შთამომავლები იყვნენ და შეტანილ იქნა «საერთო საგერბოს» XIV ტომში № 2-ად (სურ. №21). გერბის გამოსახულებებია: «ოთხნაწილიანი ფარი შუაში მცირე ფარით. პირველ წითელ ნაწილში ვერცხლისფერი კვართი. მეორე ზურმუხტისფერ ნაწილში ოქროს ქნარი, მესამე მომინანქრებულ ნაწილში ვერცხლისფერი შურდული იმავე ფერის ღვედებითა და ოქროსფერი ქვით. მეოთხე წითელ ნაწილში ოქროს კვერთხი გადაჯვარედინებული ოქროსვადიანი ვერცლის მახვილისა და ოქროსავე სკიპტრის ქვეშ. მცირე ოქროს ფარის შუაში წმიდა დიდმოწამე გიორგი ზურმუხტისფერი აღკაზმულობით, რომელსაც ამშვენებს მკერდზე ოქროს ჯვარი, მეწამული თორით, რომელიც ზის მეწამულ ცხენზე, რომელიც დაფარულია მუქი წითელი ოქროსფერი ფოჩითა და გასაოცარო მეწამული შუბით მწვანე შავფრთიანი ურჩხული წითელი თვალებითა და ენით. მთავარი ფარის თავზე სათავადო გვირგვინია, რომელიც ორ მოლივლივე ანგელოზს უჭირავს ვერცხლისფერი ოქროსვადიანი ხმლებით. ფარის დამჭერნი: ორი ოქროსფერი ლომი მეწამული თვალებითა და ენებით. გერბი შემკულია ზურმუხტებით, ჩაჭდეული ყარყუმის მანტიით, რომელიც მთავრდება ოქროსფერი ფოჩებით და იმავე ფერის ფოჩებით და გვირგვინდება უგანათლებულესი თავადების გვირგვინით.»

გერბების ყველა დანარჩენი ვარიანტი ჩვენთვის ბეჭდებიდან, სასაფლაოს ქვებიდან და ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლების პირადი ნივთებიდანაა ცნობილი (სურ. №22-23).

საქართველოს სამეფო დინასტიის - ბაგრატიონების გვერდით, საქართველოს სათავადაზნაურო გვარებსაც ჰქონდათ საგვარეულო გერბები. მაგრამ მათი არსებობის შესახებ საერთოდ ძალზე ცოტა რამაა ცნობილი. ითვლება, რომ ქართული საგვარეულო გერბების რაოდენობა მხოლოდ იმით იფარგლება, რომლებიც შეტანილი იყო «სრულიად რუსეთის იმპერიის საერთო საგერბოში» ("Общий Гербовник Всероссийской империи"). თუმცა ეს მთლად ასე არ არის. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ვასილ ვიქტორის-ძე ზენკევიჩმა ვლადისლავ კრესკენტის-ძე ლუკომსკის ხელმძღვანელობით შეადგინა «კავკასიის საგერბო» ("Кавказский Гербовник"), რომელიც შეიცავდა 300-მდე გერბს, ამათაგან დიდი ნაწილი ეკუთვნოდა ქართველ ბაგრატოვანთა საგვარეულოსა და საქართველოს სათავადო საგვარეულოებს, რომლებიც იქნენ რუსეთის იმპერიის მიერ ასეთებად ცნობილი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზენკევიჩის დედა იყო სოფიო ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-მუხრანსკი და, როგორც ჩანს, ბაგრატოვანთა ნათესაობამ განაპირობა კიდეც ამგვარი საგერბოს შექმნა. სამწუხაროდ, მოცემული საგერბოს ბედი დღესდღეობით უცნობია. თუმცა არსებობს მეორე «კავკასიური

საგერბოც» ("Кавказский Гербовник"). ესაა ხელნაწერების კრებული, რომელიც პეტროგრადში შეადგინა ვინმე ვ. ციხინსკიმ 1922 წელს. ჩვენთვის ამ ხელნაწერის შესახებ მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც 1993 წელს ის ისტორიკოსმა ზაზა აბაშიძემ გადმოგვცა. ორი წლის შემდეგ ვ.ციხინსკის «კავაკასიური საგერბოს» სხვა ვარიანტიც გახდა ცნობილი. ის აღმოაჩნდა ცნობილ მხატვარ-ჰერალდიკოსს, საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ლევან (ლეო) ალექსანდრეს ძე შერვაშიძეს. ხელნაწერის ორივე ვარიანტის შეჯერებამ მათი ურთიერთშევსება გამოიწვია. ვ.ციხინსკის «კავაკასიური საგერბო» შეიცავს ბაგრატოვანთა საგვარეულოს ყველა შტოს, ქართული თავადური გვარებისა და აგრეთვე სასომხეთისა და ჩრდილოკავკასიის წარმომავლობის სათავადაზნაურო გვარებს, მაგალითად თავადი ბებუთაშვილები (ბებუთოვები), მადათოვები, გორსკები (ჩერკასკები), ტარკობსკები (შამხალი ტარკოვსკები) და ა. შ. 129 გერბს.

ვ.ციხინსკის «კავაკასიური საგერბო» საქართველოს საგვარეულო ჰერალდიკის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება. სამწუხაროდ თავად ავტორის შესახებ არაფერია ცნობილი. ხელნაწერის დედანი დღესდღეობით დაკარგულია და «ორიგინალად» ითვლება ის პირი, რომელიც XX საუკუნის 80-იან წლებში არის გადაწერილი გადასაღებ აპარატზე და გაკეთებული მცირე წიგნად მაგარი ყდით. დედნის მოსაძებნად ჩვენი აქტიური მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. მაინც რას წარმოადგენს «კავკასიური საგერბოს» ციხინსკისეული ხელნაწერი? «კავკასიური საგერბოს» პირველი ნაწილის სათაურია «თავადური გვარები», მაგრამ იყო თუ არა მეორე ნაწილი «აზნაურების გვარები», ცნობილი არაა. მასში 99 ტექსტით ან ილუსტრაციებით სავსე გვერდებია 19X11 სმ-ზე ზომით. საგერბოს დასაწყისში გვაქვს სათაური, რომელშიც ჩამოთვლილია საქართველოს 99 სათავადო გვარი. თუმცა, თავად საგერბოში ყველა გერბს ვერ ვხვდებით და, აგრეთვე, ზოგიერთი საგვარეულო, რომელიც შესულია საგერბოში, სათაურში მითითებული არაა. სინამდვილეში საგერბოში შევიდა 129 გერბი და 88 საგვარეულო. «კავკასიურ საგერბოში» შესული ქართული გვარების უმეტესობა თავადურია, 10 სომხური გვარის, 3 ჩრდილოკავკასიური და 3 მუსულმანური გვარების გამოკლებით. «კავკასიური საგერბო» შედგენილია შემდეგი პრინციპით: ის გაყოფილია ოთხ ნაწილად: 1) ქართლი და სათავადოები (რომლებიც წარმოდგენილია მხოლოდ სამეგრელოს მფლობელი I და II დინასტიის დადიანების გერბებში, აფხაზეთი (შერვაშიძე), გურია (გურიელი), სვანეთი (გელოვანი და დადეშქელიანი), ასევე თავადი ჯაყელები (ათაბაგები), ყოფილი სამცხეს მფლობელები გვ. 1-53; 2) კახეთი - გვ. 54-80; 3) იმერეთი - გვ.81-92; 4) გურია - გვ. 93-99. ხელნაწერის ყოველ გვერდზე გამოსახულია გერბი (ან გერბის რამოდენიმე ვარიანტი), მის (მათ) ქვეშ მითითებულია გვარის წარმომავლობა, შემდეგ ისტორიული სინამდვილეები, ფურცლის ბოლოს მოყვანილია წყაროები. სამწუხაროდ 19 გვარის გერბები: ვახვახიშვილი, ვაჩნაძე, გობიდაშვილი (ხობიდაშვილი), გუგუნავა, გურგენიძე, ჯანდიერი, ჯორჯაძე, ზურაბიშვილი, იორალიშვილი, იოთამაშვილი, ქობულაშვილი, მაყაშვილი, მაჭუტაძე, ნიჟარაძე, ფხეიძე (მხეიძე), თოლენჯიშვილი (დოლენჯიშვილი), ჰოჯამინასოვები, ჭილაძე და ერევნის (ხანები) თავადები - საგერბოში წარმოდგენილი არ არიან, მაგრამ მოცემულ გვარებზე ის შეიცავს ისტორიულ მონაცემებს (ზოგან გერბის ნაცვლად ტრაფარეტული ნაკეთობაა - მანტია ცარიელი ფარით). სხვა გვარებს, რომელთა

გერბებს მოცემულ «კავკასიურ საგერბოში» სათანადო ტექსტები არ გააჩნიათ, მხოლოდ გერბის მფლობელის გვარის მითითებები ახლავს, მაგალითად, წულუკიძე, მაქსიმენიშვილი და ა. შ. ვ.ციხინსკის მიერ მოტანილ მონაცემებში ვხვდებით აგრეთვე მცდარ ცნობებსაც. როგორც თავად დადიანების შემთხვევაში (I დინასტიის - დადიანი-ჩიქოვანი), წყაროს სახით ვ.ციხინსკი მიუთითებს სანქტ-პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრის ლაზარეს ეკლესიის საფლავის წარწერებს. ზოგჯერ ვ.ციხინსკი არასწორად უთითებდა თვით წყაროებსაც. მაგალითად, სტატიაში ბაგრატიონების შესახებ ის წერდა: წყაროები: Источники: Общий Гербовник, т.VII, №2; M. Bროსსეტ "Hისტოირე დე ლა Gეორგიე"; გრავიურით შესრულებული პორტრეტი თავად პეტრე ივენეს ძე ბაგრატიონისა, რომელიც ეკუთვნის მხატვარ ტონჩის და მოყავს სხვა გერბი (სურ.№24). თუმცა Общий Гербовник, т.VII, №2-ში სულ სხვა გერბია გამოსახული (სურ. №16).

ეჭვს ბადებს აგრეთვე თავადების საგინაშვილებისა (საგიძე) და ყიფიანების გერბები. პირველ შემთხვევაში ციხინსკი წერს: «საგიძის გვარი წარმოადგენს ერთ-ერთ შტოს მეგრელ დადიანთა უძველესი გვარისა, რაზეც მეფე სოლომონ I მიუთითებს გრაფ ტოტლებენთან მიწერილ წერილებში. კახეთში ეს შტო სარგებლობდა მესამე ხარისხის თავადების უფლებებით და მათ I დინასტიის დადიანების გერბს მიაწერს, რომელიც დამტკიცებული იყო რუსეთის მიერ (საერთო საგერბო, ტ. VI, 2). თუმცა ორივე შემთხვევაში ვ.ციხინსკიმ დაუშვა შეცდომა, აერია პირველი და მეორე მინდვრები (იხ. სურ. №25). თავად ყიფიანების შემთხვევაში ვ.ციხინსკი მათ მიაწერს საერთო წარმომავლობას თავად აბაშიძეებთან და შესაბამისად წარმოგვიდგენს აბაშიძეების საგვარეულო გერბის მსგავს გერბს (სურ. №26). დღესდღეობით საშუალება არა გვაქვს შევამოწმოთ სინამდვილეში თავადი საგინაშვილები და ყიფიანები მართლა სარგებლობდნენ მოცემული გერბებით თუ არა.

ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეულ სირთულეებს იწვევს ვ.ციხინსკის ე. წ. «სამხატვრო სტილი». ზოგიერთი ფიგურა გამოსახულია ძნელად გასარჩევად, რამაც ხელი შეუწყო რიგ შეცდომებს, მაგალითად, ვარხვის ფიგურა, რომელიც თავისი სისხლით კვებავს შვილებს გურამიშვილების, თუსიშვილებისა და ხიდიბეგრიშვილების საგვარეულო გერბებზე იმდენად არასწოერადაა გამოსახული, რომ პირველად ის არწივის ფიგურად მონათლეს, რომელიც ცეცხლისგან წარმოსდგა (ან დროშისგან) (სურ. №27-27აბ). ყველა ეს სამი გვარი ერთ საერთო წინაპრამდე - ზედგენიძემდე მიდის (რომელმაც შემდგომში მიიღო თავადი ამილახვრის გვარი). თავად აბაშიძეების გერბის შემთხვევაში ვ.ციხინსკისთან ცხენის ფიგურა უფრო მელას წააგავდა და ავტორი იძულებული შეიქმნა ნახატისთვის სახელი მიეწერა (სურ. №28). არაგვის ერისთავების შესახებ სტატიაში, მოყვანილი გერბებიდან ვხვდებით ორს, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ არაგვის ერისთავების საგვარეულოსთან. ეს გერბები თავადების ქსნის-ერისთავებისა და სიდამონ-ერისთავებისაა (სიდამონიძე-ერისთავი), რომლებიც თავიანთ საგვარეულოს მიაკუთვნებდნენ არაგვის საერისთაოს.

ციხინსკი უმეტეს შემთხვევბში არ მიუთითებს ფერებზე. მხოლოდ თავადი შალიკაშვილების გერბს აქვს შტრიხების შეფერილობა (სურ.№29). თავადი თაქთაქიშვილების გერბის ვარიანტებში (სურ. №30) და თავად ყარალაშვილების გერბის მინდვრის ფერები ასოებითაა აღნიშნული (სურ. №31), მაგალითად, ოქროსფერი,

მეწამული, მწვანე, ლურჯი. ზოგჯერ ეჭვს ბადებს, იყო თუ არა ორიგინალში გერბი შემკული მანტიითა და გვირგვინით და, საერთოდ, იმით, რაც ვ.ციხინსკის აქვს მოცემული? მაგალითად, თავადი თარხან-მოურავების გერბი საგერბოში შემდეგნაირადაა გადმოცემული (სურ. №32) და ეყრდნობა ალექსანდრე-ნეველის ლავრის საფლავის წარწერას. თუმცა, სინამდვილეში იქ გერბი მანტიის გარეშეა და სხვა გვირგვინით.

რაც შეეხება ვ.ციხინსკის «კავაკასიური საგერბოს» წყაროებს, უმეტეს შემთხვევაში ესენია სამთავრობო სენატის ჰეროლდიის დეპარტამენტის არქივი (**Архив Департамента Герольдии Правительствующего Сената**), დამტკიცებული გერბები, რომლებიც შევიდნენ სრულიად რუსეთის იმპერიის სათავადო გვარების საერთო საგერბოში (**Общий Гербовник Всероссийской империи**), ჰერალდიკური მასალები ვ.კ.ლუკომსკისა (საიდანაც შეიძლება დავუშვათ, რომ ვ.ციხინსკი არა მხოლოდ იცნობდა პროფ. ვ.ლუკომსკის, არამედ «კავკასიური საგერბოს» შექმნაზეც აქტიურად მუშაობდა, რომელიც შედგნილი იყო ვ.ლუკომსკის ხელმძღვანელობით მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლის ვ.ვ.ზენკევიჩის მიერ XX საუკუნუს 20-იან წლებში). საგერბოს წყაროს აგრეთვე წარმოადგენდა - ო.ფ.გეტლინგის ბეჭდების კრებული (რომელიც დღეს თბილისში ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში), საფლავებზე არსებული გამოსახულებები, ნაბეჭდებიდან ამონარიდები, ბეჭდები და ა.შ. ისტორიული მონაცემების წყარო, როგორც წესი, არის ქართლისა და კახეთის მეფის გიორგი XII შვილის უფლიწულ იოანეს წიგნი, რომელიც ეხება ქართული სათავადაზნაურო გვარების წარმოშობას და ჟურნალ «ივერიის» ფურცლებზე 1884 წელს დაიბეჭდა.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი შეცდომებისა და უზუსტოებების მიუხედავად, ვ.ციხინსკის «კავკასიური საგერბო» ყველაზე უფრო სრულ და ფასეულ კრებულად ითვლება კავკასიისა და, პირველ რიგში, ქართული საგვრეულო ჰერალდიკისთვის. ვ.ციხინსკის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება დასრულებულია ჩვენს მიერ, ჩვენვე შევადგინეთ ყოველი ოჯახის ისტორიის შესახებ ყველა ტექსტი. გერბების ნახატები შესრულებულია მხატვარ-ჰერალდისტის დ. ა. გულორდავას მიერ (მოსკოვი). მოცემული წიგნის ბოლო ორ ნაწილში დამატების სახით მოყვანილი იქნება გადამუშავებული გამოცემა ვ.ციხინსკის ხელნაწერისა და მეორეც - უფრო მკაფიო და ზუსტი ნახატებითა და გასწორებული ტექსტებით.

ქართული საგვარეულო ჰერალდიკის პრობლემებს ნაშრომი «ქართული ჰერალდიკური სიმბოლიკა» მიუძღვნა მ.ფ. ვადბოლსკიმ. მოცემულ წიგნში წარმოდგენილია საქართველოს სამეფო გვარის - ბაგრატიონის 9 გერბი, 30 თავადისა და 6 აზნაურის გვარები. ვ.ციხინსკის «კავაკსიის საგერბოს» შეპირისპირებისას აქ მოყვანილია 12 გერბი, რომლებიც ვ.ციხინსკის არა აქვს. ესენია: იმერეთის დედოფლის თინათინის (XVII ს.) გერბი; ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი მმართველის, უფლისწულ დავით XII გიორგის ძის გერბის მეორე ვარიანტი; თავადების გერბები: გურგენიძე, გედევანიშვილი, ვაჩნაძე, თურქისტანიშვილი და აზნაურებისა: ამბერსაძე (რუსეთში ამბროზანცევები), ბიბილური, ბუჩქიაშვილი, გარსევანიშვილი, ფანჩულიძე და წინამძღვრიშვილი.

ფრანგი მკვლევრის არნო შაფანჟონის წიგნში "Le Petit Gotha". შესულია ქართველი თავადების ოცდასამი გერბი, რომელთა წარმომადგენლები ოქტომბრის 1917 წლის

რევოლუციისა და 1921 წელს საქართველოში საბჭოთა წყობილობის გამოცხადების შემდეგ საზღვარგარეთ წავიდნენ.

ქართულ საგვარეულო ჰერალდიკას თითქმის მთლიანად ეძღვნება მოსკოვში გამომავლი ჟურნალის ნომერი «საგერბო საცნობარო» ("Гербовед"), რომელიც გამოიცემა რუსული ჰერალდიკური კოლეგიის მიერ.

მოცემულ მომენტში შევძელით 190 გერბის შეგროვება, 100-ზე მეტი ოჯახის, რომლებსაც საქართველოში სათავადაზნაურო ღირსების უფლება ჰქონდათ. სამწუხაროდ მათი ფერების ნახევარზე მეტი უცნობია.

მაინც რა გამნასხვავებელი ნიშნებით გამოირჩევა ქართული ჰერალდიკა? კითხვას რომ ვუპასუხოთ, ჯერ აუცილებელია გავიგოთ საქართველოს დიდებულების სტრუქტურა.

გარდა საქართველოს სამეფო გვარის ბაგრატიონებისა და თავადებისა, რომლებიც მათგან იყვნენ წარმოშობილი, XV-XIX საუკუნეების საქართველოში იყვნენ სამთავრო (მფლობელები) გვარები. სულ ხუთი ამგვარი მფლობელი თავადები იყვნენ: აფხაზეთში - შერვაშიძე, გურიაში - გურიელი, სამეგრელოში - დადიანი (I და II დინასტიები), სამცხეში - ჯაყელები, რომლებიც XIV დასაწყისიდან ატარებდნენ ათაბაგების ტიტულს და სვანეთში - დადეშქელიანები. ყველა ეს გვარები ერთიანი საქართველოს მონარქიის დაშლამდე ერისთავებად (მმართველებად) იწოდებოდნენ მათზე დაკისრებული ვალდებულებების მიხედვით. ყველანი სარგებლობდნენ თავადების I ხარისხის უფლებებით. აგრეთვე იყვნენ ერისთავის გვარებიც. ისინიც ხუთნი: აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლის სამეფოში) - არაგვის ერისთავები, ქსნის ერისთავები და ყოფილი სომხითის ერისთავები - თავადი მელიქიშვილები. დასავლეთ საქართველოში იყვნენ რაჭისა და გურიის ერისთავები (ერისთავ-შერვაშიძე). ყველა დანარჩენი საქართველოს სათავადო გვარები სამ ხარისხად განიყოფოდნენ, ამასთანავე რამოდენიმე გვარი, მაგალითად, ამილახვარი, ორბელიანი, ანდრონიკაშვილი, ციციშვილი, ჩოლოყაშვილი და სხვ., სადაც გვარში უფროსი ითვლებოდა I ხარისხის თავადად, ყველა დანარჩენი სხვა თავადები II ხარისხის თავადებად.

საქართველოს აზნაურები შემდეგ ჯგუფებად განიყოფოდნენ: სამეფო აზნაურები, სამთავრო აზნაურები, სამღვდელო აზნაურები, სათავადო აზნაურები და ცალმოგვი აზნაურები.

ასეთივე რთული და მრავალფეროვანი იყო საქართველოს სათავადაზნაურო გვარების ეროვნული შემადგენლობა. წმინდა ქართული გვარების გვერდით იყვნენ სომხური, სპარსული, თურქული, ჩრდილოკავკასიური, ბერძნული (ბიზანტიური) და თვით რუსული წარმომავლობის გვარებიც (ლეგენდის თანახმად, კახეთის თავადები რუსიშვლები წარმოდგებიან რაზმელისაგან, რომელიც ვლადიმირის დიდი თავადის ანდრეი ბოგოლიუბსკის (1157-1174) ვაჟს თავად იური (გიორგი) ანდრეის ძე რიურიკოვიჩს ახლდა ამალაში. იური (გიორგი) გახდა თამარ მეფის (1184-1213) პირველი ქმარი, ხოლო მის ამალის წევრი, თამარის მიერვე იქნა სათავადო ღირსებაში აყვანილი).

მთელი ეს მრავალფეროვნება საქართველოს სათავადზნაურო გვარების გერბებში აისახა. გერბებში გამოყენებული ფიგურების ანალიზის ჩატარების შემდეგ შეიძლება აღინიშნოს, რომ ქართული საგვარეული ჰერალდიკისთვის დამახასიათებელია ე. წ. არაჰერალდიკური ფიგურები. ფართოდ გავრცელდა სამხედრო სიმბოლიკა - სხვადასხვა

სახის აღკაზმულობა, ხმლები, შუბები, მშვილდი, არბალეტი, ზარბაზნები და ა. შ. მაგალითად, ხმლის გამოსახულება გვაქვს თავადების - აბაშიძე, აბამელიქის, ბაგრატიონების თოთქმის ყველა შტოს (ბაგრატიონ-ბაბადიშების გამოკლებით), ბარათაშვილების, გურიელების, დადიანების (I დინასტია), მიქელაძეების, ორბელიანების (სურ. №33), ჩოლოყაშვილების, ჩხეიძეებისა და სხვების გერბებზე; შუბები გამოსახული იყო: მელიქიშვილების (სურ. №34), ჩიჩუების, შალიკაშვილებისა და სხვათა გერბებზე; მშვილდები (ისრები, არბალეტები) - ამათუნების, ანდრონიკაშვილების, აგიაშვილების (სურ. №35), დიასამიძეების, ყარალაშვილების, მაღალაშვილებისა და სხვათა გერბებზე; ზარბაზნები: ამილახვრების (სურ. №36), ბაგრატიონ-ბაბადიშების, გურამიშვილების, თუსიშვილების, ხიდიბეგიშვილების, წულუკიძეების საგვარეულო გერბებზე. საკმაოდ ხშირად გვხვდება სიმაგრეების, კოშკების, ციხე-სიმაგრეებისა და ეკლესიების გამოსახულებები. მაგალითად, სიმაგრე გამოსახულია შემდეგი თვადების: ამილახვრების, არაგვის ერისთავების (სურ. №37), ქსნის ერისთავების, ფალავანდიშვილების, თუმანიშვილების, ჭავჭავაძეების, წულუკიძეებისა და სხვ. გერბებზე; კოშკის გამოსახულება გვხვდება შემდეგი თავადების: ამირეჯიბების (სურ. №38), ვაჩნაძეების, მაჩაბლების, მიქელაძეების, ორბელიანების, რატიშვილების, თაქთაქიშვილების, წერეთლებისა და სხვ. გერებებზე; ეკლესიის გამოსახულებები: ამილახვრებთან, არაგვის ერისთავებთან, თაქთაქიშვილებთან, თარხან-მოურავებთან და სხვ. ასევე გვხდება ლომის არწივის, ირმის, პეგასის, ძაღლის, ურჩხულის, ვაცის ფიგურები გამარჯვების დროშა-სიმბოლოთი. მაგალითად, ლომის გამოსახულებას ვხვდებით თავადების: არღუთინსკ-დოლგორუკებთან, არაგვის ერისთავებთან, აბამელიქებთან (სურ. №39), ბაგრატიონ-დავითიშვილებთან, ბარათაშვილებთან, კავკასიძეებთან, ქსნის ერისთავებთან, ლიონიძეებთან, ორბელიანებთან, სუმბათაშვილებთან, წერეთლებთან, წულუკიძეებთან და სხვ.; არწივის გამოსახულება - ავალიშვილებთან, ანდრონიკაშვილებთან, ქსნის ერისთავებთან, სუმბათაშვილებთან (სურ. №40) და აზნაურ ფანჩულიძეებთან; ირმის გამოსახულება - ბებუთაშვილებთან, ფალავანდიშვილებთან, რატიშვილებთან, თარხან-მოურავებთან, ჭავჭავაძეებთან (სურ. №41), ჩოლოყაშვილებთან და სხვებთან; კრავი გამარჯვების დროშით: ლიონიძეებთან (სურ.№42), სუმბათაშვილებთან და შალიკაშვილებთან; ძაღლის გამოსახულება - ნაზარაშვილებთან და თუმანიშვილებთან (სურ. №43); პეგასისა - ვაჩნაძეებთან; ურჩხულისა - დადიანებთან (II დინასტიასთან).

არცთუ ისე იშვიათად გერბები იტევდნენ საეკლესიო სიმბოლიკასაც: მართლამადიდებლური ჯვარი, მუსულმანური ნახევარმთვარე, აგრეთვე გვხდება ჯვრის გამოსახულება ნახევარმთავრე-სიმბოლოს თავზე ნიშნად ოტომანთა იმპერიაზე (თურქეთზე) გამარჯვებისა. ჯვარი გვხდება - ამირეჯიბებთან, არღუთინსკ-დოლგორუკებთან, არაგვის ერისთავებთან, ბაგრატიონ-გრუზინსკებთან (ერთ-ერთ ვარიანტში), ბაგრატიონ-დავითიშვილებთან, გურგენიძეებთან (სურ. №44), ბარათაშვილებთან, დადიანებთან (I დინასტიასთან). სევარსამიძეებთან, სიდამონ-ერისთავებთან, თავდგირიძეებთან, აზნაურებთან - ამბერსაძეებთან, ბიბილურებთან და სხვ.; ნახევარმთვარის გამოსახულება თავადებთან - აბაშიძეებთან, იაშვილებთან, ბეგთაბეგიშვილებთან (სურ. №45), გორსკებთან და ჩერკასკებთან, ჯაყელებთან (სურ. №46), ყარალაშვილებთან, ჩხეიძეებთან, შალიკაშვილებთან; აზნაურებთან -

ბიბილურებთან, ფანჩულიძეებთან და სხვ.; ჯვრის გამოსახულება ნახევარმთვარის თავზე თავადებთან: ფალავანდიშვილებთან და თაქთაქიშვილებთან (სურ. №47).

მთელ რიგ გერბებში წმინდანების გამოსახულებებსაც ვხვდებით. მაგალითად, ღვთისმშობელი ყრმა იესოსთან ერთად გვაქვს თავადებთან: არგუთინსკ-დოლგორუკებთან (სურ. №48) და აბამელიქებთან; ანგელოზის გამოსახულება - ზოგიერთი ვარიანტით ამილახვრების, რატიშვილებისა (სურ. №49) და ჩოლოყაშვილების გერბებზე; ქრისტეს გამოსახულება სუმბათაშვილებთან; წმ. გიორგის გამოსახულება - ამილახვრებთან, ბაგრატიონ-გრუზინსკებთან, ბაგრატიონ იმერეტინსკებთან, ბაგრატიონ მუხრანსკებთან, ბაგრატიონ დავითიშვილებთან, გურამიშვილებთან, ბარათაშვილებთან, დადეშქელიანებთან, ხიდირბეგიშვილებთან, ხიმშიაშვილებთან (სურ. №50), წერეთლებთან, წულუკიძეებთან და სხვა.

საქართველოს მრავალი სათავადო გვარი, ხსოვნაში ინახავდა იმას, რომ წარმოამვლობით უცხოელები, ზოგჯერ მეფური წარმომავლობისა იყვნენ და ამის გამო გერბებში შეჰქონდათ სათანადო ემბლემები და ფიგურები. ასე მაგალითად, თავად ლიონიძეებს თავიანთი შტო მიჰყავდათ სომეხ თავადებამდე და თავიანთ გერბში არწივი შეიტანეს (სურ. №51), რომელსაც ნისკარტში მოკლული გველი უჭირავს. ის წარმოადგენდა სამეხთა სამეფო დინასტიის არტაშესიდების ემბლემას (189 წ. ძვ. წ. აღ.-ით და 1 წ. ახ. წ. აღ-ით). ამავე გერბში გვირგვინიანი ლომის ფიგურაა გამოხატული, რომელიც სასომხეთის მეფეების ბაგრატუნების საგვარეულო ნიშანი იყო (ანისის ბაგრატიდები, 885-1045) (სურ. №52). კრავი დროშით იმავე გერბში სიმბოლურად გამოხატავს წმ. გრიგორი განმანათლებელს, რომელმაც სომხეთი 301 წელს მოაქცია (სურ. №51).

საქართველოში არსებობს თავადი ანდრონიკაშვილების გვარი, რომლებსაც თავიანთი წარმოამვლობა ბიზანტიის იმპერიის იმპერატორებამდე - კომნენოსების დინასტიამდე მიჰყავდათ. კომნენოსების დინასტია ბიზანტიაში მეფობდა 1081-დან 1185 წლამდე. თავადი ანდრონიკაშვილების გერბში ვხვდებით ორთავიან არწივს, ბიზანტიის იმპერატორებისა და მცურავი გემის ფიგურას - სიმბოლო კონსტანტინეპოლიდან საქართველოში გამგზავრებისა (სურ. №53). ევროპაში თავადი ანდრონიკაშვილები, რომლებიც საქართველოდან 1921 წელს გავიდნენ, სარგებლობდნენ ბიზანტიის იმპერატორების გერბებით კომნენოსების დინასტიიდან საგვარეულო გერბის სახით (სურ. №54).

საქართველოს სათავადო გვარები გერბებში ხშირად ათავსებდნენ ფიგურებსა და ემბლემებს, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავდნენ მათსავე ლეგენდარულ წარმოშობას ან წინაპრების საგმირო საქმეებს. მაგალითაად, თავადი ამათუნები თავიანთ გვარს მიაკუთვნებდნენ ბიბლიურ სამსონს, რომელმაც ლომი დაგლიჯა, რაც აისახა კიდეც მათს გერბში. (სურ. №55) თავადი ამილახვრები იმის ხსოვნით, რომ მათმა წინაპარმა იოთამ ზედგენიძემ საქართველოს მეფის გიორგი VIII (1446-1476) სიცოცხლე გადაარჩინა, თავიანთ გერბში განათავსეს ადამიანის ფიგურა, რომელიც მიჯაჭვული წევს თავის საწოლზე. შემდგომში ეს ფიგურა შეიცვალა თასით, რომელიც სისხლით იყო სავსე. თავადი აბაშიშვილები ლეგენდის მიხედვით წარმოსდგებიან მეომრისაგან, რომელმაც 1285 წელს გადაარჩინა საქართველოს მეფე დემეტრე II თავდადებული (1270-1289), მას მისცეს ცხენი ნაცვლად ბრძოლაში მოკლული ეგვიპტელი მამელუქისა - ამ

ლეგენდას გერბში მოგვაგონებს ცხენის ფიგურა გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ; მათი შტამომავლები იყვნენ თავადი ყიფიანები. სიახლოვე აბაშიშვილებისა და აბაშიძეებისა შეცდომის მიზეზი გახდა, რომლის თანახმადაც ისინი ერთ გვარად არიან გამოცხადებული, მაგრამ სინამდვილეში ისინი ორი სხვადსხვა გვარია, რომლებსაც ერთმანეთთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ.

ქართულ საგვარეულო გერბებში არცთუ იშვიათად ვხდვებით ფიგურებს, რომლებიც განასახიერებენ თავიანთი წინაპრების თანამდებობებს. თავადი ამილახვრების გერბში - ჩექმა და დროშა წმინდა გიორგის გამოსახულებით - მათი თანამდებობის სიმბოლოებია. ქართლის სამეფოში ამ გვარის მეთაური მემკვიდრეობით ჯარების სადროშოს მარჯვენა ფრთის სარდალი იყო (სურ. №56).

თავადი თუმანიშვილების საგვარეულო გერბებში, რომლებიც XVI-XVIII საუკუნეების განმავლობაში ქართლის მეფეების მდივანბეგები იყვნენ - გამოხატულია საკალმე, ხელში ნაჭერილი კალამი და ძაღლი - ერთგულების სიმბოლო (სურ. №43). თავადი გედევანიშვილების გერბში გამოხატულია ქრისტეს კვართი და ხელში მჭერი ჯვარი, რაც იმას მოგვაგონებს, რომ მოცემლი გვარის წევრები მემკვიდრეობით სვეტიცხოვლის ტაძრის მფარველები იყვნენ, სადაც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ახლაც ინახება ქრისტეს კვართი (სურ. №57).

ზოგიერთ ქართულ საგვარეულო გერბში გამოიყენება ბერძნული მითოლოგია. მაგალითად, თავადი ლიონიძის გერბის მეორე ვარიანტში გამოსახულია ჰერაკლე, ბერძნული მითოლოგიის ყველაზე უფრო პოპულარული გმირი - ვაჟი მეთაური ღვთის ზევსისა და მიწიერი ქალის ალკმენესი (სურ. №58). ხოლო თავადმა დადიანებმა (II დინასტია) ძველი კოლხეთისა და არგონავტების მითის ხსოვნის საპატივცემულოდ თავიანთ გერბში განათავსეს ურჩხულის ფიგურა, რომელიც ოქროს საწმისს იცავდა (სურ. №59).

მრავალ გერბში ფიგურები და ემბლემები წარმოადგენენ ნიშნებს, რომლებიც გადმოვიდნენ საგვარეულო დროშებიდან და ბეჭდებიდან. ისისნი ფართოდ იყო გავრცელებული ქართველ დიდებულებს შორის.

სამწუხაროდ, ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ოთხი გერბი, რომელიც დაამტკიცა ქართლისა და კახეთის მეფე ერეკლე II. ეს იყო თავადების: ამათუნის (სურ. №55), არღუთინსკი-დოლგორუკების (მხარგრძელი, არღუთაშვილი) (სურ. №48), ლიონიძისა (სურ. №51) და აზნაურების: ამბერსაძის (ამბროსიანოვი, რუსეთში ამბროზანცოვები) (სურ. №60). თავადი ლიონიძეების გერბი დამტკიცდა 1779 წელს, არღუთინსკი-დოლგორუკებისა 1783 წელს, ამათუნებისა - 1784 წელს და გერბი აზნაურ ამბერსაძისა 1785 წელს. ქვემოთ მოვიტანთ ამ გერბების აღწერას:

თავად ლიონიძეების გერბი
(დამტკიცებულია მეფე ერეკლე II მიერ 1779 წ.)

"ღერბი ვაჟკაცობისა - ღერკულეს, აღჭურვილი ლახტითა და შემოხვეული ლომის ტყავითა და სათავადოთა გვირგვინითა".

თავად არგუტინსკი-დოლგორუკოვების
(არღუთაშვილების, მხარგრძელების) გერბი

(დამტკიცებულია მეფე ერეკლე II მიერ 1783 წ.)

"წყალობითა ღვთისათა ჩვენ ირაკლი მეორე მეფე ქართლისა და მეფე კახეთისა, მე|მკვდ[რ]მთავარი სამცხე-სა[ა]თაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალისა, მთ|ავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა, მთავარი შირვანისა, მპყრობელი | და მბრძანებელი განჯისა, ერევნისა და სხვათა, ვინათგან ყოველი ჩინებულება შტამ|ომავლობითი დაიმტკიცების სიძველითა გვართათა და ჩინებულებითა წინაპა|რთა, ამისთჳს არა უმიზეზი არს, რათა ჩვენმიერი წამება მისცემოდათ არღუთ|ანთ, რომელ არიან მჴარგრძელნი, ვითარმედ არიან სომხითსა და ივერიასა შინა გვარ|ნი დიდნი და ჩინებულნი, ვითარცა სწამებენ ისტორიანი ჩვენნი და უგროსად ისტორია | მეფეთა თამარისა და რუსუდანისა, თავადთა ზაქარია ამირ-სპასალარისა და იოანე ათა|ბაგისათჳს, რომელთაცა ერთგულება მეფეთა ქართლისათა ბაგრატოანთა ზედა ცხად | არს ყოველი შინა გუჯართა და უფროსად საკნიაზოსა ღერბსა ზედა მათსა, რომელიცა | შედგმულ არს ესრეთ: ფარი ვერცხლის ადგილით, ზედა მას დროშა ანუ ბოვარაყა, ვითარცა | ნიშანი სპასპეტობისა, რომელსაცა ზედა გამოსახულ არს ხატი ყოვლად-წმიდისა ღმრთისა | დედისა, რომელსაცა უპყრიეს მარცხნივ სიტყვა იგი საუკუნოსა მამისა, ძეჲ თჳსი, ქვე|შე ხატისა შორის არს განპყრობილ მკლავი ჴმლითა მარჯვნივ, ვითარცა ცხად-მყოფი გვარობითძისა სიმხნისა მათისა, და მარცხნივ ფარი პირქვე მდებარე და მას ზემოს წორედ და|დგმული შუბი. და ყოველი ესე არის დაგვრგვნებულ ზემო სათავადოსა გვრგვნითა. ამა|თ ყოველთა ჩინებულებათა გუარობითთა მათთა ცხად ვჰყოფთ ყოველთა მიმართ, ვითარმედ ეს|რეთ პატივიცემულ ყოფილან, ვითარცა ცხად გვიქმნიეს ამას შინა ყოვლითა სამართლითა და | ნიშნითა შეხაბაზითა. და ვითხოვთ ყოვლად დიდებულსა ყოვლისა როსსიისა საიმპერატორსა კარისაგან, რათა ღეროლდსაცა შინა როსსიის კეთილშობილთასა აღრიცხულ იქმნას მხარგრძელად.
[ხელის მოწერილობა] ერეკლე. [ბეჭედი]

მიეცა სამეფოსა ქალაქსა შინა ჩუჶნსა ტფილისსა (1783): წელსა | აგჳსტოს: (28): ოცდა მეათცხრამეტესა წელსა მეფობისა ჩუჶნსასა".

(რუსული თარგმანი): "Божьею Милостью мы, Ираклий Второй, Царь Картлии и Царь Кахии. наследственный обладатель Самцхе-Саатабаго, обладатель Казаха, обладатель Борчалу, обладатель Шамшадила, обладатель Каки, обладатель Шаки, обладатель Ширвана, владетель и повелитель Ганджи и Эривана и прочая. Поелику всякая знатность потомков подтверждается древностью рода и достославностью предков, то потому не было бы лишено основания, если от нас дано было удостоверение Аргутовым, которые суть Долгорукие. о том, что они являются в Армении и Иверии родом великим и знатным. как-то свидетельствуют истории наши и, в особенности, история цариц, Тамары и Русуданы о князьях Захарии амирспасаларе и Иоане атабаге, которых преданность картлийским царям Багратионам очевидна по всем гуджарам и, в особенности, по их княжескому гербу, который составлен так: щит из серебра местами [(по местности?)], над ним знамя или позолота, как символ «спаспет»ства. на котором изображен образ пресвятой Богоматери,

держащей шуйцею Слово вечного Отца, Сына Своего; под образом же - справа простертая рука с саблею, как показатель доблести их рода, а слева щит, ничком лежащий, и на нем прямо установленное копье; и все это увенчано сверху княжескою короною. Обо всех сих показателях знатности их происхождения мы объявляем всем, что они (Аргутовы) были в таком почете, какой выявлен нами по всем законным основаниям (буквально всем правдам) и клейму Шах-Аббаса (?). И просим Императорский Двор превеликой всея России. дабы и в российской герольдии благородных (они) зачислены были Долгоруковыми.

[Подпись:] Ираклий.

[Печать]

Дан в царственном граде нашем Тифлисе 1783 года 28 августа. в лето царствования нашего тридцать девятое".

თავად ამათუნების გერბი
(დამტკიცებულია მეფე ერეკლე II მიერ 1784 წ.)

"На нем есть продолговатый щит, на синем поле щита изображено белое знамя в знак полководства, на знамени два барса, из коих один взором своим означает: обзор прошедших дел, другой, озирающий назад, благоразумную предусмотрительность при предприятиях, барсы держат карты, на которой в верхней половине два четвероугольника: один с синим, другой с красным полем; на одном четвероугольнике изображены сабля и копье: знаки храбрости, на другом финиковое дерево, полное плодами: знак изобилия и полезного действия; в нижней половине карты имеются также два четвероугольника, тех же цветов; на одном из них столб мраморный; знак твердости; на другом крестообразно лежат две стрелы золотые: знаки искренности. между которыми изображен низверженный лев с разодранной пастью: знак Богом дарованной предкам их силы; ниже сего крестообразно сложены две ветви. оливковая и лавровая: знак мира и победы, и все сие увенчано княжескою короною" (Грамота Царя Картли и Кахети Ираклия II. 1.01.1784 г.).
(ქართული თარგმანი - "მასზე არის მოგრძო ფარი, ფარის ლურჯ მინდორზე გამოსახულია თეთრი დროშა ნიშნად მხედართმთავრობისა, დროშაზე ორი ჯიქია, რომელთაგან ეთი გამომეტყველებით ნიშნავს: წარსული საქმეების განჭვრეტას, მეორე, რომელიც უკან იყურება - ქმედებისას გონიერ წინდახედულობას; ჯიქებს უჭირავთ კარტები, რომელთა ზედა ნაწილში ორი ოთხკუთხედია: ერთი ლურჯი, მეორე კი წითელი მინდვრით; ერთ-ერთ ოთხკუთხედზე გამოხატულია მახვილი და შუბი: ნიშნები მამაცობისა, მეორეზე ფინიკის ხე, რომელიც სავსეა ნაყოფით: ნიშანი ხვავისა და სასარგებლო მოქმედებისა; კარტის ქვედა ნაწილში ასევე ორი ოთხკუთხედია, იმავე ფერების; ერთ-ერთ მათგანზე მარმარილოს სვეტია - სიმტკიცის ნიშანი; მეორეზე ძევს ჯვრის მაგვარი ორი ოქროს ისარი: ნიშნები გულწრფელობისა, მათ შორის გამოსახულია პირგახეული დამარცხებული ლომი: ნიშანი ღმრთის მიერ წინაპრებისადმი ნაბოძები ძალები; მის ქვეშ ასევე ჯვრის მსგავსად დადებულია ორი ტოტი, ზეთისხილისა და

დაფნისა: ნიშანი მშვიდობისა და გამარჯვებისა, და ეს ყოველივე გვირგვინდება სათავადო გვირგვინით” (ქართლისა და კახეთის მეფის ერეკლე II სიგელი. 1.01.1784)).

აზნაურ ამბროსიანების (ამბროზაშვილების; რუსეთში ამბროზანცევების) გერბი (დამტკიცებულია მეფე ერეკლე II მიერ 1785 წ.)

"მრგვალი ფარი, ვერცხლისა ფერი ადგილითა, მას შორის ლოდი ერთი დებული ნიშნად მტკიცე ერთგულებისა. მას ლოდსა ზედან ჯდომილი არწივი ერთი ცალფეხით მდგომარე და ცალფეხი აწეული, რომელსა ფრჩხილათ უპყრეს ეტრატი ერთი აღწერილი ესრეთ ნიჭი სამეფო ნიშნად მიღებულ სამეფო ნიჭთა აზნაურობისასა თვისისა და პირთა შინა ქონებით მასვე არწივისა რტო ზეთის ხილის ნაყოფითურთ, ნიშნად გულოხობისა და გარემოსა მას სვეტისასა, მარჯვენით და მარცხენით აღმოცენებული რტონი ორნი ფინიკისა და დაფნისა, ნიშნად ნაყოფიერი საქმის მქონებისასა. ესე ყოველი დაგვირგვინებული არს აზნაურობის გვირგვინითა".

მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაიწყო საქართველოს საგვარეულო ჰერალდიკის მეორე ე. წ. რუსულ-ევროპული პერიოდი.

იმპერატორ პავლე I-ს (1796-1801 წ.წ.) 1797 წლის 20 იანვრის ბრძანებულებით რუსული სათავადაზნაურო «გერბოვნიკზე» (გერბთა კრებულზე) დაიწყო მუშაობა. 1798 წლის 1 იანვრის მანიფესტით დაიწყო “Общий Дворянских Родов Гербовник”-ის («საერთო სათავადო გვარების საგერბო») გამოცემა, რომელშიც ქართული საგვარეულო გერბებიც იქნა შეტანილი. მანიფესტის მიხედვით, სასტიკად იკრძალებოდა უკვე დამტკიცებული გერბების თვითნებური შეცვლა ან რედაქტირება, თუ მასზე იმპერატორის სპეციალური ბრძანება არ იქნებოდა - “впредь без особого Высочайшего соизволения гербы не изменять, чтобы ничто ни под каким видом из них не исключалось и вновь в оные не было ничего прибавляемо”.

ქართული საგვარეულო გერბები ევროპული პრინციპებით დგებიან და საერთო გაფორმებით ცოტათი თუ განსხვავდებიან მათგან. ქართული საგვარეულო გერბების კოდიფიკაცია გადმოცემული იყო რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სენატის ჰეროლდიის დეპარტამენტზე. თუმცაღა რუსეთის იმპერატორების მიერ ქართული საგვარეულო გერბების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იქნა ოფიციალურად დამტკიცებული. ამითვე აიხსნება არანაირი ინფორმაციის არარსებობა. ქვემოთ მოგვყავს სრულიად რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო გვარების საგერბოს მიერ დამტკიცებული ქართული საგვარეულო გერბებისა და მათი აღწერილობის სია, ქრონოლოგიური რიგით მათი დალაგება:

1. **დონაური** - IV ტომი. დამტკიცებულია 1799 წელს;

2. **არგუტინსკი-დოლგორუკოვი (იგივე არღუთაშვილი)** - V ტომი, № 2. 1800 წელი. გერბის აღწერილობა შემდეგია: "Щит разделен перпендикулярно на две части. В правой в золотом поле выходящий до половины русский орел, имеющий на груди Мальтийский крест с вензелем императора Павла I. Левая часть щита разделена горизонтально на две половины: в верхней в красном поле выходящая их облака рука в серебряных латах с мечом; в нижней в голубом поле стоящий на земле лев держит в правой лапе золотую

булаву, а в левой золотой щит. Щит покрыт княжескою мантией и увенчан российско-княжескою шапкою". (თავად არღუთინსკ-დოლგორუკების საგვარეულო გერბი - ფარი პერპენდიკულარულად გაყოფილია ორ ნაწილად. მარჯვენა ოქროსფერ მინდორში ნახევრადაა გამოსახული რუსული არწივი, რომელსაც გულზე აზნევია მალტური ჯვარი იმპერატორ პავლე I ვენზელით. მარცხენა მხარე ფარისა ჰორიზონტალურად გაყოფილია ორ ნაწილად: ზემოთა წითელ მინდორში ღრუბლიდან გამომავალი ხელია ვერცხლისფერ ლატებში მახვილით; დაბლა ცისფერ მინდორში დგას მიწაზე ლომი, რომელსაც უჭირავს მარჯვენა თათში ოქროს ბუნიკიანი კვერთხი, ხოლო მარცხენაში ოქროსფერი ფარი. ფარი დაფარულია სათავადო მანტიით და დაგვირგვინებულია რუსული სათავადო ქუდით) (სურ. №48).

**3. დადიანი (I დინასტია)** - VI ტომი, № 2. 1801 წლის 23 ივნისი.
გერბის აღწერილობა შემდეგია: "Щит разделен на четыре части, между коими, на середине щита, золотой крест. В первой части в золотом поле овен, идущий по земле налево; во второй части в красном поле всадник на белом коне, скачущий вправо, поражает копьем дракона; в третьей части в серебреном поле три копья, на коих положены меч и красное знамя; в четвертой части в голубом поле, плывущий влево золотой корабль с распущенными парусами. Щит покрыт княжескою мантией и увенчан княжескою шапкою". (თავადი დადიანების საგვარეულო გერბი - ფარი გაყოფილია ოთხ ნაწილად, რომელთა შორისაც, ფარის შუაში, ოქროს ჯვარია. პირველ ნაწილში ოქროს მინდორზე კრავია, რომელიც მარცხნივ მიაბიჯებს; მეორე ნაწილში წითელ მინდორზე მხედარი თეთრ ცხენზე, რომელიც მირბის მარჯვნივ, შუბით განგმირავს ურჩხულს; მესამე ნაწილში ვერცხლის მინდორზე სამი შუბია, რომლებზედაც ძევს მახვილი და წითელი დროშა; მეოთხე ნაწილში ლურჯ მინდორზე, მარცხნივ მცურავი გემი გაშლილი აფრებით. ფარი დაფარულია სათავადო მანტიით და გვირგვინდება რუსული-სათავადო ქუდით) (სურ. №25).

**4. ბაგრატიონი (ქართლის მეფის იესეს შტო)** - VII ტომი, № 2, 1803 წლის 4 ოქტომბერი. გერბის აღწერილობა შემდეგია: "Щит разделен на четыре части, из коих в первой в красном поле изображена золотая держава. Во второй части в голубом поле арфа. В третьей в голубом же поле золотая праща. В четвертой части в красном поле крестообразно положены скипетр и сабля. По сторонам щита два льва. Щит укращен мантиею и шапкою, принадлежащими княжескому достоинству". (თავად ბაგრატიონთა გერბი - «ფარი გაყოფილია ოთხ ნაწილად, რომელთაგან პირველ წითელ მინდორში გამოხატულია ოქროსფერი ბუნიკიანი სფერო. მეორეში - ლურჯ მინდორში ქნარი. მესამეში - ლურჯსავე მინდორში ოქროს შურდული. მეოთხეში - წითელ მინდორში გადაჯვარედინებულია სკიპტრა და მახვილი. ფარის გვერდებზე ორი ლომია. ფარი შემკულია მანტიითა და ქუდით, რომელიც განეკუთვნება სათავადო ღირსებას) (სურ. №16).

**5. ბეგთაბეგიშვილი** - X ტომი, № 107. 1836 წლის 3 იანვარი. გერბის აღწერილობა შემდეგია: "Щит разделен горизонтально на две половины. В верхней красной - скачущий вправо на белом с золотою сбруею коне черкес держит на правом плече золотое копье; в нижней голубой две серебреные стрелы, положенные крестообразно, остриями вверх, и на них положен красный щиток, в коем серебреный полумесяц рогами вверх. ерб покрыт

мантиею и шапкою княжескою". (თავად ბეგთაბეგოვების საგვარეულო გერბი, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ ქართველი თავადობის ტიტული - ფარი გაყოფილია ორ ნაწილად. ზემოთა წითელ კუთხეში - მარჯვნივ ცხენზე ამხედრებული თეთრ ოქროთი აკაზმულ ცხენზე ჩერქეზს უჭირავს მარჯვენა მხარზე ოქროს შუბი; დაბალ ლურჯ მინდორში ორი ვერცხლისფერი ისარი, ჯვარედინად დადებული, წამახული წვერებით მაღლა, და მათზე დადებულია წითელი მცირე ფარი, რომელშიც ვერცხლისფერი ნახევარმთვარე რქებით მაღლაა გაშვერილი. გერბი დაფარულია მანტიითა და სათავადო ქუდით) (სურ. №45).

**6. ნიკოლოზ დადიანი-მინგრელსკი (II დინასტია)** - XIII ტომი, № 1. 1885 წლის 19 იანვარი. გერბის აღწერილობა შემდეგია: "В лазоревом поле щита, на золотой траве, золотой же с червлеными желудями дуб, на котором повешено на червленой ленте золотое руно. Перед дубом стоит золотой дракон с червлеными глазами и хвостом, извергающий червленое же пламя. Щит увенчан серебряным с золотыми украшениями шлемом и коронован золотою же короною.Нашлемник: золотая львиная голова с червлеными глазами и языком. Намет: лазоревый с золотом. Девиз "HOß NOLI თANGEღE" золотыми буквами на лазоревой ленте. Герб украшен багряною, подбитою горностаем мантиею с золотыми кистями с таковою же бахромою и увенчан княжескою короною". (უგანათლებულესი თავადის ნიკოლოზ მინგრელსკის საგვრეულო გერბი - ფარის ლაჟვარდოვან მინდორზე, ოქროსფერ ბალახზე, ასევე ოქროსვე მეწამული რკოებით მუხა, რომელზედაც ჩამოკიდებულია მეწამულ ბაზთაზე ოქროს საწმისი. მუხის წინ დგას ოქროს ურჩხული მეწამული თვალებითა და კუდით, რომელიც აფრქვევს მეწამულ ცეცხლს. ფარი გვირგვინდება ვერცხლისფერი მოოქროვილი სამკაულების მუზარადით და დაგვირგვინებულია ოქროს გვირგვინით. მუზარადი: ლომის ოქროს თავი მეწამული თვალებითა და ენით. ფაცერი: ლაჟვარდოვანი ოქროთი. დევიზი «HOC NOLI TANGERE» ლაჟვარდოვან ბაზთაზე ოქროსფერი ასოებით. გერბი შემკულია ძოწეულით, მოხვეული ყარყუმის მანტიით ოქროსფერი მტევნებით, იმავე ფერის ფოჩით და დაგვირგვინებულია სათავადო გვირგვინით) (სურ. №59).

**7. ანდრია დადიანი-მინგრელსკი (II დინასტია)** - XIII ტომი, № 2. 1885 წლის 19 იანვარი. გერბის აღწერილობა შემდეგია: "В лазоревом щите, на золотой траве, золотой же с червлеными желудями дуб, на котором повешено на червленой ленте золотое руно. Перед дубом стоит золотой дракон с червлеными глазами и хвостом, извергающий червленое же пламя. Щит увенчан серебряным с золотыми украшениями шлемом, со стрелкою и кольчугою, и коронован золотою же короною.Нашлемник: золотое драконово крыло. Намет: лазоревый с золотом. Девиз "HOß NOLI თANGEღE" золотыми буквами на лазоревой ленте. Герб украшен багряною, подбитою горностаем мантиею с золотыми кистями с таковою же бахромою и увенчан княжескою короною". (უგანათლებულესი თავადის ანდრია მინგრელსკის საგვრეულო გერბი - ლაჟვარდოვან ფარზე, ოქროსფერ ბალახზე, ასევე ოქროსვე მეწამული რკოებით მუხა, რომელზედაც ჩამოკიდებულია მეწამულ ბაზთაზე ოქროს საწმისი. მუხის წინ დგას ოქროს ურჩხული მეწამული თვალებითა და კუდით, რომელიც აფრქვევს მეწამულ ცეცხლს. ფარი გვირგვინდება ვერცხლისფერი მოოქროვილი სამკაულების მუზარადით, ისრითა და ჯაჭვის პერანგით და დაგვირგვინებულია ოქროს გვირგვინით. მუზარადი: ურჩხულის ოქროსფერი ფრთა.

ფაცერი: ლაჟვარდოვანი ოქროთი. დევიზი «HOC NOLI TANGERE» ლაჟვარდოვან ბაზთაზე ოქროსფერი ასოებით. გერბი შემკულია ძოწეულით, მოხვეული ყარყუმის მანტიით ოქროსფერი მტევნებით, იმავე ფერის ფოჩით და დაგვირგვინებულია სათავადო გვირგვინით) (სურ. №61).

